საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიანიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 22 იანვარი. 2016 წ. №12 (7904), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში ვიკითხავ, სხვასან ვიტ ნასაუბ!..

ანდრეის მამიკინსი, ევროპარლამენტარი.

ჩვენ დემოკრატიის შუქურა ვართ, მაგრამ ვის ვასწავლით ჭკუას? საქართველოს, რომელიც ევროპული ცივილიზაციის აკვანია და რომელსაც სახელმწიფოებრიობის ათასწლოვანი ისტორია აქვს?

6 7

აკადემიკოსი

მზექალა შანიძე - ჭეშმარიტი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ნუ აჰყვებით პანიკას!

3

რა არის ღორის გრიპის სიმპტომები და გარდაცვალების მიზეზები?

5

ხარძიანის გახმაურებული მკვლელობა გახსნილია!

2

სოსო ცინცაძე:

თუკი გეოპოლიტიკური ბალანსი დაირღვევა, ამას რეგიონებში საშინელებები მოჰყვება!

ჯახა ცხადაძე:

მე არ მივდივარ. თუ სფფ-ს კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა უნდა, თქვას!



10

11

სამი უარი ჩვენს „სამარშრუტო თავსატკივარზე“

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.432; ევრო - 2.658;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.448;
100 რუბლი - 3.045; თურქული ლირა - 0.797;
აზერბაიჯანული მანათი - 1.525;
1000 სომხური დრამი - 5.026

ამინდი 22 იანვრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -5,	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე -8,	დღე +8
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე -4,	დღე +8
თბილისი:	ღამე -2,	დღე +10

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

◎ დავოსური დღიური

ვიქტორია ნულანდი სრულ მხარდაჭერას გვპირდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ვიქტორია ნულანდს შეხვდა. შეხვედრა დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გაიმართა.

ვიქტორია ნულანდმა გიორგი კვირიკაშვილს პრემიერ-მინისტრად დანიშვნა პირადად მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-აშშ-ს ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო ქვეყნის შიგნით და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ხაზი გაესვა საქართველოში განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებს. ვიქტორია ნულანდმა ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

შეხვედრაზე განხილული იყო ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე ამერიკასა და საქართველოს შორის თანამშრომლობა და მხარდაჭერა. საუბარი ასევე შეეხო პრემიერ-მინისტრის ვიზიტის შესაძლებლობას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველო სტაბილურად ვითარდება

საქართველოს Washington state investment board-ის **სამუშაო ჯგუფი ეწვევა — აღნიშნული გადაწყვეტილება დავოსში საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და** Washington state investment board-ის **აღმასრულებელ დირექტორს ტერესა ვიტმარშს შორის შეხვედრაზე მიიღეს.**

ოფიციალური ცნობით, შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო, ყურადღება გამახვილდა ენერგეტიკული და უძრავი ქონების პროექტებზე.

აღინიშნა, რომ საქართველოს აქვს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა. ლიბერალური და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადები კი ქვეყანას მიმზიდველს ხდის ინვესტორთათვის. ტერესა ვიტმარშმა აღნიშნა, რომ რეგიონის ქვეყნებს შორის, საქართველო სტაბილურად ვითარდება. მან ინტერესი გამოთქვა უფრო დეტალურად შეისწავლოს ქვეყნის საინვესტიციო გარემო და სამომავლოდ ინვესტიციები განახორციელოს.

Washington State Investment Board არის ამერიკული წამყვანი საინვესტიციო კომპანია, რომელიც მართავს 107 მილიარდი დოლარის ოდენობის საპენსიო ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების თანხებს.

TATA SONS LTD საქართველოში ინვესტიციების გაზრდას გეგმავს

შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და Tata Sons LTD-ის თავმჯდომარე საირუს მისტრისთან დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში შედგა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საირუს მისტრისი, ინდური სასტუმროების ქსელების სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ეწვევა და ადგილზე გაეცნობა არსებულ საინვესტიციო გარემოს. TATA საქართველოში უკვე ახორციელებს რამდენიმე მსხვილ პროექტს. ამ ეტაპზე tata-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციების საერთო მოცულობა პარტნიორებთან ერთად 650 მლნ. დოლარს შეადგენს.

TATA ჯგუფი მოიცავს 100-ზე მეტ ოპერატორ კომპანიას ბიზნესის 7 სექტორში: კომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები, საინჟინრო საქმიანობა, მასალები, მომსახურება, ენერგეტიკა, სამომხმარებლო პროდუქცია და ქიმიკატები. ჯგუფი მოქმედებს 100-ზე მეტ ქვეყანაში 6 კონტინენტზე.

სოსო ცინცაძე: თუკი გეოპოლიტიკური ბალანსი დაირღვევა, ამას რეგიონებში საშინელებები მოჰყვება!

„ივერიონს“ „გაზპრომთან“ დაკავშირებულ პერსპექტივებზე პოლიტიკური ექსპერტი სოსო ცინცაძე ესაუბრა.

— ბატონო სოსო, გუშინ, გადაცემა „არჩევანში“ ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ამტკიცებდა, რომ აზერბაიჯანს გაზის სრულად მოწოდება არ შეუძლია და აქედან გამომდინარე, „გაზპრომიდან“ თუ არ მივიღებთ გაზს, საქართველოს სერიოზული პრობლემები შეექმნება.

თქვენი აზრით, რამდენად გულწრფელია ვიცე-პრემიერი კახა კალაძე და რამდენად ჯდება „გაზპრომთან“ დაკავშირებული პერიპეტიები სახელმწიფოს ინტერესებში?

ხომ არ ასდის ამ ყველაფერს პირადი და პოლიტიკური დაინტერესების სუნი?

— ეს უკვე დიდი ხანია, თანამედროვე რეალობით არ შემოიფარგლება. უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ ნებისმიერი ხელისუფლების გადაწყვეტილებების 90%-ის უკან დგას რაღაც პიროვნული, ან ჯგუფური ინტერესები. ამიტომ, ამაში რაიმე სიახლე ან მოულოდნელი სიურპრიზი არ არის!

ტექნიკურ პირობებში ძნელია დავა ჩინოვნიკებთან, ვინაიდან, მათ ყოველთვის შეუძლიათ ნებისმიერ დავაში, გაუჭრელი კოზირივით მაგიდაზე კარტად დადონ რაღაც პოლიტიკური საკითხი, რომელსაც შენ ვერაფერით, ვერასოდეს ვერ შეამოწმებ!

დღეს საკითხი ასე დგას: რომელი უფრო სანდო წყაროა, აზერბაიჯანის ხელისუფლების თუ ჩვენი ხელისუფლების? ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რაშიც ვერავინ ვერ შემედავება და ის, რაც ზედაპირზე დევს.

მთელი ეს ისტორია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეგიონში გეოსტრატეგიული ბალანსის შენარჩუნებას. შევარდნაძეც და სააკაშვილიც კი ახერხებდნენ ამ ბალანსის შენარჩუნებას!

კალაძეც და ის დაქირავებული ექსპერტებიც (რომლებიც გადაცემაში მონაწილეობდნენ), მაღალფარდოვნად ამბობდნენ, აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეაო — ეს ფრაზა გაცვდა! ჩვენ შეიძლება მათ ვთვლით პარტნიორებად, მაგრამ ისინი არ გვთვლიან.

მე ვკითხულობ აზერბაიჯანის პრესას, რომელიც ხელისუფლების აზრს გამოხატავს. უკვე ოფიციალურ ბაქოსაც ეჭვი შეაქვს ჩვენს გულწრფელობაში, ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირეობაში და, რაც მთავარია, ეჭვი შეაქვს ჩვენს ჯენტლმენურ საქციელში, კერძოდ: **ის რომ, ახლა, როდესაც აზერბაიჯანს ისე როგორც არასდროს უჭირს, ამ დროს იქმნება აქ ტანდემი რუსეთთან, რომლის უნებლიე მოკავშირე და მონაწილე ხდება საქართველო აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ეს არის ჩემთვის ყველაზე საშიში!**

მე ვერ ვიხსენებ კაცობრიობის ისტორიაში ისეთ შემთხვევას, როდესაც დალაგებული გეოპოლიტიკური ბალანსის დარღვევას არ მოჰყოლოდეს საშინელება მთელი რეგიონისთვის!

გარდა ამისა, გუშინ კალაძე გულწრფელი არ იყო, როდესაც ამბობდა, რომ ეს ხელშეკრულება ერთი წლით იდება. ამ საქმეში ოდნავ ჩახედული, ნებისმიერი ადამიანისთვის ცნობილია, რომ ამ ერთი წლის მანძილზე „გაზპრომის“ მაღალკვალიფიციურმა იურისტებმა ისეთ ხელშეკრულებაზე შეიძლება მოგვაწერინონ ხელი, რომ შემდგომ ის ავტომატურად გაგრძელდება, მერე კი რაოდენ დიდი სურვილიც არ უნდა გვქონდეს, ამ ხელშეკრულების გაუქმებას ვერ შევძლებთ! ამის მაგალითი უამრავია და „გაზპრომი“ ამ ხერხს ხშირად მიმართავს!

ესაუბრა
მედეა შელია

საქართველომ შთამბეჭდავი შედეგები აჩვენა

ევროკომისარი იოჰანეს ჰანი საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების რეალიზაციისთვის გატარებული სამუშაოთი კმაყოფილია. ამის შესახებ მან ევროპარლამენტის დებატებზე გამოსვლისას განაცხადა.

„რაც შეეხება საქართველოს, ქვეყანამ ასოცირების შეთანხმების რეალიზაციისთვის ძალისხმევა არ დაიშურა. შთამბეჭდავი შედეგები სახეზეა. უცხოური ინვესტიციები საქართველოში მკვეთრად გაიზარდა. სხვა მაჩვენებლებიც დამაიმედებელია. სავიზო ლიბერალიზაციის გეგმაც ეფექტური ინსტრუმენტი გამოდგა რეფორმების ხელშესაწყობად. სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველომ დაიწყო სასამართლო სისტემისა და პროკურატურის რეფორმირებისთვის შემდგომი ნაბიჯების გადადგმა. ჩვენ ასევე ყურადღებით ვაკვირდებით, რათა ხელისუფლებამ უზრუნველყოს, რომ არ იყოს უკანონო კონტაქტი საკონსტიტუციო სასამართლოსა და მისი წევრების წინააღმდეგ,“ — აღნიშნა ჰანმა.

ევროპარლამენტარები პროგრესზე საუბრობენ

რეგიონში არსებული ნეგატიური ეკონომიკური ვითარების ფონზე საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამის შესახებ ევროპარლამენტარმა საჯაროდ კარიმმა ევროპარლამენტის დებატებზე განაცხადა.

„საქართველოს შემთხვევაში ჩვენ უკვე ვხედავთ ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების პირველ შედეგებს. საქართველო კარგი ტემპით უახლოვდება ევროკავშირის სტანდარტებს. ბოლო სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოდან იმპორტი ევროკავშირში 15 პროცენტით გაიზარდა. და ეს იმ ნეგატიური ეკონომიკური ტენდენციის ფონზე, რომელიც რეგიონშია,“ — აღნიშნა კარიმმა.

სტეტინა ჯარომირი ჭკუას გვარიგებს

ევროპარლამენტში გამართულ დებატებზე, რომელზეც საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ასოცირების შეთანხმების რეალიზების საკითხი განიხილეს, მედიათავისუფლებისა და სასამართლოს კუთხით საქართველოში არსებულ პრობლემებზეც ისაუბრეს. მწვავე განცხადება დეპუტატმა სტეტინა ჯარომირმა გააკეთა. „ჩვენი რეზოლუციები არ უნდა იყოს კრიტიკას მოკლებული, განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მედიის თავისუფლება და შერჩევითი სამართალი. ბალანსირებული და გამართული პოლიტიკური სისტემისთვის ოპოზიციის არსებობა აუცილებელია. ამიტომ, ოპოზიციაზე ზეწოლისა და ძალადობის ნებისმიერი ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოძიებული. ჩემთვის მიუღებელია, რომ რამდენიმე ოპოზიციონერი ამ დრომდე საპატიმროში რჩება,“ — განაცხადა დეპუტატმა.

კალაძემ, თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაბრამ არაო?!

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ „გაზპრომთან“ დაკავშირებით, პარლამენტში მისვლა გადაიფიქრა. გადაცემა „არჩევანში“ მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა დააკმაყოფილოს ოპოზიციის მოთხოვნა და მივიდეს პარლამენტში აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ.

„თქვენი 2016 წლის 15 იანვრის №256/3-16 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობასა და სს „გაზპრომს“ შორის მიმდინარე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების 2016 წლის 21 იანვარს დაგეგმილ გაერთიანებულ სხდომაზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის დასწრებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ბატონი კახა კალაძე, გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა და დაგეგმილი სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გამო, ვერ დაესწრება საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების გაერთიანებულ სხდომას“, — ნათქვამია ნაციონალური მოძრაობისთვის გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს მინისტრის მოადგილე ირაკლი ხმალაძე აწერს.

კალაძის საკანონმდებლო ორგანოში მისვლა და აღნიშნული თემის უმცირესობაში შემავალი ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე განხილვა ნაციონალურმა მოძრაობამ მოითხოვა, რასთან დაკავშირებითაც პარტიამ ენერგეტიკის სამინისტროს 15 იანვარს მიმართა.

მინისტრის როგორც სახელმწიფოებრივად, ისე ადამიანურადაც სწორი პოზიცია

„ფაქსით იარონ, ყველას აქვს საკმარისი ხელფასი ამისთვის, თავიანთი მანქანები კი გამოიყენონ გამოძახებებზე“

საძართველოში H1N1 ვირუსით გარდაცვალების ლაბორატორიულად დადასტურებული მესამე შემთხვევა აღინუსხა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელის პაატა იმნაძის განცხადებით, გავრცელება არის საშუალო, ხოლო სიკვდილის შემთხვევები, საბედნიეროდ — ძალიან დაბალი.

„დღეს ყველა შემთხვევა, რაც არის გრიპის, არის H1N1 ვირუსი, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა. ძალიან იშვიათ შემთხვევებში გვხვდება H3, თუმცა ავადმყოფისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, გრიპის რომელი ვირუსით გახდება ავად. ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურება იმისთვის გვჭირდება, რომ ვიცოდეთ, რა ვირუსები ცირკულირებს საქართველოში“, — აცხადებს პაატა იმნაძე.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, გრიპის ვირუსების შემთხვევების მატება მოსალოდნელია იანვარ-თებერვალში. ამ მომენტისთვის საქართველოში 100 ათას მოსახლეზე გრიპის ვირუსით ინფიცირების 240 შემთხვევაზე მეტი ფიქსირდება. თუმცა, ეს ციფრი აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელია და ეს მაჩვენებელი შარშანდელ ანალოგიურ პიკს არ აჭარბებს.

თუ შემთხვევების რაოდენობა ყოველ 100 ათას მოსახლეზე 500 შემთხვევას გადააჭარბებს, გრიპის ეპიდემია გამოცხადდება. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფორმაციით, 38 გრადუსზე მეტი ტემპერატურის შემთხვევაში, ასევე თავისა და სახსრების ტკივილის დროს, პაციენტებმა აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს, რომელიც მათ მედიკამენტოზურ მკურნალობას დაუნიშნავს და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება ჰოსპიტალიზაცია.

ის პირები, რომლებიც დაავადებულები არიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, დიაბეტით, ფილტვის პრობლემებით, მოხუცები და ორსულები უნდა მოერიდონ თავშეყრის ადგილებს და პირველივე სიმპტომების გამოხატვის შემთხვევაში, დროულად მიმართონ ექიმს. დღეისთვის გრიპის ვირუსებზე სახელმწიფოს აცრილი ჰყავს რისკჯგუფებს დაქვემდებარებული 12 ათასამდე ადამიანი. 8 ათასზე მეტი პირი კი, კერძო სამედიცინო დაწესებულებებმა აცრეს.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი მოსახლეობას მოუწოდებს მიიღონ ანტივირუსული წამლები და არა ანტიბიოტიკები. გარდა ამისა, იმნაძე მიმართავს დაწესებულებათა მენეჯერებს, გაციებული თანამშრომლები გამოჯანმრთელებამდე სამსახურიდან გაათავისუფლონ.

საგანგებო მუშაობის რეჟიმზე გადადის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური. გადაწყვეტილება ჯანდაცვის მინისტრმა უწყების სხვადასხვა სამსახურებისა და დეპარტამენტების, ასევე სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ხელმძღვანელთან გამართულ თათბირზე მიიღო. დავით სერგეენკომ სამსახურების ხელმძღვანელ პირებს მოუწოდა, თავიანთი სამსახურებრივი ავტომობილები გახშირებული გამოძახებებისთვის გამოიყენონ.

„გავაძლიერებთ თბილისის სასწრაფო დახმარების სამსახურს. მივამაგრებთ დამატებით მანქანებს. იგივე ეხება რაიონულ სასწრაფოს. სამსახურებრივი მოხმარების მანქანები უნდა გადამისამართდეს, მეც მზად ვარ, რითიც დავდივარ, ჩემი მანქანა გადავამისამართო ამ საქმეზე, რომ ოჯახის ექიმებმა დაიწყონ სიარული მაღალი ტემპერატურის დროს გამოძახებებზე და არ გაუშვან ასეთ გამოძახებაზე აკივლებული სასწრაფოები, როდესაც ამ დროს კაცი კვდება სადღაც.

ცხელების გამოძახებები, რომლებიც არის არა რისკ-ჯგუფის პაციენტებში, ამაზე სასწრაფო ბრიგადა კი არა, უნდა გავიდეს მსუბუქი პატარა მანქანა, რომელშიც იქნება ოჯახის ექიმი. თბილისის სასწრაფოს მიმართ მაქვს რეკომენდაციები და ბრძანება, ასევე რაიონული სასწრაფოს მიმართ, მენეჯერები ცოტა ხნით ჩამოვიდნენ თავიანთი მანქანებიდან. მათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ტაქსით იარონ, ყველას აქვთ საკმარისი ხელფასი ამისთვის და ეს მანქანები გამოიყენეთ ამ კატეგორიის გამოძახებებზე. ასეთ შემთხვევებზე გავიდეს სწორედ ეს მანქანები“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

თამთა ძარჩავა

ნუ აჰყვებით პანიკას!

რა არის ღორის გრიპის სიმპტომები და გარდაცვალების მიზეზები?

გთავაზობთ რეკომენდაციებს და რჩევებს, რომლებიც H1N1 ვირუსისგან თავდაცვისთვის გამოგადგებათ:

რა არის ღორის გრიპი? რაზომ ჰქვია მას ეს სახელი?

გრიპის ვირუსები სამ სახეობად იყოფა. ერთ-ერთი მათგანია A და სწორედ ის გახლავთ უმთავრესად პანდემიების გამომწვევი. ღორის გრიპი A გრიპის ერთ-ერთი ქვესახეობაა, რომელსაც მედიცინის ენაზე H1N1 ჰქვია.

რაც შეეხება სახელწოდება „ღორის გრიპს“, მას რეალურ ისტორიას უკავშირებენ. 2009 წელს აშშ-ში, კალიფორნიაში, წარმოშობით მექსიკელმა მოზარდმა სამკურნალო დაწესებულებას გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომებით მიმართა. მას ჩაუტარდა ტესტირება და ადგილობრივმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ეს იყო A ტიპის ვირუსი. ადგილზე მისი ქვეტიპის დადგენა ვერ მოხერხდა და მასალა შემდგომი დიაგნოსტიკისთვის გადაეგზავნა აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებს. იქ შეისწავლეს ვირუსის გენები, და როდესაც მეცნიერებმა პირველად შეხედეს გენომს, ის აშშ-ში ღორებში გავრცელებული გრიპის გენომს მიამსგავსეს. შემდეგ გაირკვა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ღორებისთვის დამახასიათებელი ვირუსი; ეს გახლდათ ვირუსი, რომელიც ადამიანისგან ადამიანს გადაეცემოდა. უბრალოდ, მისი სრულიად ახალი ქვეტიპი გახლდათ, რომელიც მანამდე არ ცირკულირებდა მოსახლეობაში და, შესაბამისად, ჰქონდა პანდემიური, ანუ საყოველთაო გავრცელების პოტენციალი. აი, ასე შერჩა ამ პანდემიას „ღორის გრიპის“ სახელი.

რა განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს ამ ვირუსს და რა განაპირობებს დაავადების მძიმე მიმდინარეობას?

ეს ვირუსი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება სხვა გრიპის ვირუსებისგან და იწვევს პრაქტიკულად იმავე სიმპტომატიკას, რასაც ნებისმიერი გრიპის ვირუსი. საზოგადოდაც, ა და ბ ტიპის ვირუსებით გამოწვეული გრიპი სიმპტომებით ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ერთადერთი განსხვავება, რაც პანდემიის დასაწყისში და მისი მიმდინარეობისას შეიმჩნეოდა, ის იყო, რომ H1N1 30-დან 60 წლამდე ასაკის პირებს უფრო მეტად აზიანებდა, ვიდრე ხანში შესულებს, მაშინ როდესაც გრიპი, საზოგადოდ, უფრო ხანში შესულებისთვისაა საშიში. სტატისტიკურადაც, 65 წელს გადაცილებულებში ღორის გრიპი გაცილებით იშვიათია.

რა არის პაციენტთა გარდაცვალების ძირითადი მიზეზი?

გრიპი უმთავრესად იმ ადამიანებს ურთულდებათ, რომლებსაც რაიმე სხვა დაავადებაც ჰქონდათ. აღრიცხულ შემთხვევებში ქრონიკული დაავადებების საკმაოდ ფართო სპექტრია წარმოდგენილი: ქრონიკული ჰეპატიტები, დიაბეტი, ჭარბი წონა, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები...

როგორია H1N1 ტიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის სიმპტომები?

გრიპი იწყება მოულოდნელად, მაღალი ტემპერატურით, უმთავრესად თან ახლავს ინტოქსიკაციის მოვლენები, რაც გამოიხატება თავის, კუნთების, სახსრების ტკივილით და ხველა. შედარებით იშვიათად ერთვის ყელის ტკივილი და ცხვირის გაჭედვის შეგრძნება. შესაძლოა, ამ სიმპტომმა მოგვიანებით იჩინოს თავი. დაავადება ყოველგვარი სამედიცინო ჩარევის გარეშე 7 დღეში სრული განკურნებით მთავრდება.

ყველაზე ხშირად რა გართულებები აღინიშნება A ტიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის დროს?

სტატისტიკურად ყველაზე ხშირი გართულება პნევმონიაა. ამ უკანასკნელის ორი ვარიანტი არსებობს: პირველი — ეს გახლავთ თავიდანვე განვითარებული პნევმონია, ანუ ვირუსული პნევმონია, რაც იშვიათია, და მეორე, რომელიც უფრო ხშირია — მეორეული, ანუ ბაქტერიული ინფექციით გამოწვეული ფილტვების ანთება, რომელიც დაერთვის გრიპს დაავადების დაწყების მესამე-მეოთხე დღეს. თუ თავიდანვე შეამჩნია ადამიანმა, რომ უჭირს სუნთქვა, აწუხებს ტკივილი გულმკერდის არეში, ტკივილი სუნთქვისას, ცხვირტუჩის არეში ციანოზი, ანუ სილურჯე უვითარდება, ნახველი უხდება ვარდისფერი ან მასში ერევა სისხლი, — დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს. თუ ამ სიმპტომებმა გრიპის დაწყებისთანავე იჩინა თავი, ეს ვირუსულ პნევმონიაზე მიუთითებს, ხოლო თუ გრიპის მესამე დღიდან, როცა ტემპერატურა უკვე შედარებით დაწეულია, მდგომარეობა ისევ დამძიმდა, დაერთო ხველა — ეს უკვე ბაქტერიული პნევმონიის მანიშნებელია და ექიმს ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა მიმართოთ. თუ სამედიცინო დახმარება დროულად გაეწია, ორივე შემთხვევაში გამოჯანსაღების ალბათობა საკმაოდ დიდია.

როგორია მკურნალობის სქემა A გრიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის შემთხვევაში?

გრიპის ვირუსით გამოწვეული შემთხვევები ორად უნდა გავყოთ. ერთი ჯგუფია მსუბუქი შემთხვევები, რომლებიც სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას არ მოითხოვს, მეორე — გართულებული შემთხვევები. მსუბუქი შემთხვევებიც მაღალი ტემპერატურით მიმდინარეობს და ინტოქსიკაციაც ამ დროს საკმაოდ ძლიერია, თუმცა სუნთქვის პრობლემები ნაკლებად არის გამოხატული. ამ დროს რეკომენდებულია, დაავადებულმა დაიცვას წოლითი რეჟიმი, დარჩეს შინ, მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე, ჩვენებისამებრ — სიცხის დამწევები. რაც შეეხება ორსულებს, მათ აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს, რადგან ორსული — ეს გრიპის რისკჯგუფში შემავალი ადამიანია. გრიპის მძიმე შემთხვევების დროს რეკომენდებულია ანტივირუსული პრეპარატების გამოყენება. **ამ სახის ორი პრეპარატი არსებობს: ოსელტამივირი, ანუ ტამიფლუ და ზანამივირი, ანუ რელენზა.** ეს უკანასკნელი რეკომენდებულია ორსულებისთვის, ხოლო ტამიფლუ — ორსულებისთვისაც და სხვებისთვისაც. მსოფლიო გამოცდილება იმასაც გვაჩვენებს, რომ თუმცაღა ბევრ ქვეყანას არ აქვს ტამიფლუ ან რელენზა, გრიპი გამოჯანმრთელებით მაინც სრულდება. ანტიბიოტიკებით თუ სხვა პრეპარატებით თვითმკურნალობა კი კატეგორიულად მიუღებელია. ნუ შეუქმნით საფრთხეს საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ვაქცინაციის შესახებ

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, პროფილაქტიკის ერთადერთი პირდაპირი საშუალებაა სეზონური გრიპის ვაქცინით აცრა. ვაქცინაცია ეფექტურია გრიპის სეზონის დაწყებამდე, ამიტომაც იწყება ოქტომბერ-ნოემბერში გრიპის ვაქცინაციის პროპაგანდა. გავრცელების პროცესში ვაქცინაციაზე ჯანმო უარს არ ამბობს, უბრალოდ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვაქცინაცია დაემთხვეს გრიპით ინფიცირებას და ამან გაურკვევლობა გამოიწვიოს, ამიტომ ამ დროს რეკომენდაციას ვიძლევით, მოსახლეობამ გამოიყენოს დაცვის არაპირდაპირი საშუალებები, ანუ უფრო გაამკაცროს პროფილაქტიკის წესები. პირადი ჰიგიენა, ცხოვრების ჯანსაღი წესის ზედმიწევნით დაცვა არა მარტო გრიპის, არამედ უამრავი სხვა დაავადების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. და კიდევ — მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ პროფილაქტიკისთვის სჯობს, ინფიცირებულმა იხმაროს ნიღაბი და არა ჯანმრთელმა ადამიანმა.

საზოგადოების რა ნაწილს ემუქრება განსაკუთრებული საფრთხე?

ყველაზე მეტად უნდა გაფრთხილდნენ ნებისმიერი ქრონიკული დაავადების, განსაკუთრებით — სასუნთქი და გულსისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, დიაბეტით დაავადებულები, თირკმლებისა და ღვიძლის ქრონიკული დაავადების მქონეები, მცირე ასაკის ბავშვები და ხანდაზმულები. განსაკუთრებული ჯგუფია ორსულები, რომლებშიც გრიპი შედარებით მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე არაორსულებში, ამიტომ მათ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიმართონ ექიმს.

დაბოლოს, გირჩევთ:

ნუ აჰყვებით პანიკას უბრალო სეზონური გრიპის გამო. მისდიეთ ცხოვრების ჯანსაღ წესს, რათა ჯანსაღი და მძლავრი იმუნური სისტემით შეხვდეთ ყოველ სეზონურ გრიპს, რომელსაც თავს ვერასგზით ვერ ავარიდებთ, ხოლო გრიპის გავრცელებისას დავიცვათ ჰიგიენისა და პროფილაქტიკის ის წესები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, და, რა თქმა უნდა, ყოველთვის დროულად მიმართეთ ექიმს.

mkurnali.ge

◎ მოქალაქის პოზიცია



ადამიანი-ამომრჩეველი ქვეყნის მომავლის, თავისი თავის და შთამომავლის ბედის მჭედელია

ნუ შემოვხაზავთ მანამ, სანამ კარგად არ ვიფიქრებთ!

ხელისუფლება მარადიული არ არის. ამჟამინდელი ხელისუფლებაც შეიცვლება. როგორი იქნება ხალხის მსჯავრი, დარჩება ჩვენს მეხსიერებაში თუ დასამარდება? ხელისუფალთა სახეები დარჩება ჩვენს წარმოდგენაში თუ წაიშლება? ამას თვითონ ამათი საქმე და წლევანდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგი წარმოაჩენს.

ქვეყნის ცხოვრებაში საპარლამენტო არჩევნები ღირსშესანიშნავი მოვლენაა. არჩევნების დღეს საფუძველი ეყრება ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ კურსს და ხელისუფლების პლატფორმას. ფუძემდებელი ამომრჩეველია. ადამიანი-ამომრჩეველი ქვეყნის მომავლის, თავისი თავის და შთამომავლობის ბედის მჭედელია. მას დიდი მისია აკისრია. არჩევნების პერიოდში პოლიტიკური პარტიები რეიდზე დადგებიან, დაელოდებიან შუქურის სიგნალს პარლამენტში შესასვლელად. პარლამენტში უნდა მოხვდნენ გამოცდილი, სანდო, საიმედო, სამართლიანი პარტიები, მათში გაწევრებული არა ქამელეონებით, მანიაკებით, პირადი გამდიდრების მიზნით ხელისუფლებაში მოსვლის წყურვილით გამსჭვალული მერკანტილისტებით და პოლიტიკანებით, არამედ ალტრუისტებით, რომელთაც სხვისთვის კარგის კეთება სიამოვნებთ და უხარიათ, ჩადგებიან ხალხის სამსახურში, აირჩევენ შესატყვის „ცოტა თქვია – ბევრი ქმნია“ მთავრობას, რომლის სიტყვა და საქმე განუყრელი იქნება, დაიცავს კანონის უზენაესობას და არ გადაამეტებს უფლებამოსილებას, – იზრუნებს ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანებისთვის – შეეწინააღმდეგება ამ გზაზე ოკუპანტის მიერ დაბრკოლებების შექმნის მცდელობას, გადალახავს მას და ლტოლვილებს დააბრუნებს საკუთარ სახლებში, დაძრავს სტაგნაციას ეკონომიკაში, განავითარებს მას და ინფრასტრუქტურას, – არ შეაფერხებს და მოიზიდავს ინვესტიციებს, შექმნის სამუშაო ადგილებს, სადაც დაასაქმებს პროფესიონალ, გამოცდილ სპეციალისტებს და არა მაღალჩინოსნების პროფან-უცოდინარ ნათესავებს, მოაწესრიგებს ხელფასებს – გამოასწორებს გაუმართლებელ თანაფარდობას მაქსიმალურ და მინიმალურ ხელფასს შორის...

დაუშვებელია ერთს თავზე გადასდიოდეს და მეორე შიმშილის ზღვარზე იყოს, – მაღალჩინოსნებს, ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, ოთხწლიანი მუშაობისთვის არ დაუნიშნავს მთელსიცოცხლივ პენსიას და გაუთანაბრებს მათ რიგითი მოქალაქის კატეგორიას.

პენსიებს დანიშნავს სტაჟის მიხედვით და ყოველწლიურად გაზრდის მას, მაღალჩინოსნებს ისედაც გაბერილ ხელფასებზე, ყოველთვიურად არ გამოუწერს დანამატებს და პრემიებს, არ ეყოლება პაუპერები – არსებობისთვის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული ადამიანები, საბჭოთა კავშირის პერიოდში მოქალაქეების მიერ შემნახველ სალაროში შეტანილ, სახელმწიფოს მიერ მითვისებულ თანხებს თანამიმდევრობით დაუბრუნებს მეანაბრეებს, გამოძიების დროს და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მიმართ არ გამოიყენებს ძალადობრივ მეთოდებს... ეს არის საქმის ის ძირითადი, არასრული ნუსხა, რასაც ამომრჩეველი ითხოვს. პარლამენტში შესვლის რომელი პრეტენდენტი პარტიებისგან შემდგარი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება აღასრულებს ამას, არ გაყვლეფს ქვეყანას, ხალხს და გამოაკეთებს ჩვენს დუხჭირ ცხოვრებას! საკითხავი სწორედ ეს არის! ნუ შემოვხაზავთ მანამ, სანამ კარგად არ ვიფიქრებთ!!!

ოთარ შონია

P. S. ბევრს აინტერესებს, ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ოფიციალურად დაბრუნების შემთხვევაში რა ბედი ეწევა ბატონ გიორგი კვირიკაშვილს. ბიძინა ივანიშვილის ერთი სიტყვა და ბატონი გიორგი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრად დარჩება.

ხელისუფლების სხვადასხვა შტოში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მეგობარი ქვეყნების, ევროსტრუქტურების შენიშვნების, რჩევების, რეკომენდაციების შინაურ საქმეში ჩარევად მიჩნევა, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენ უკეთ ვიცით შინაური საქმე და ოპონენტების ჯიბრზე არგათვალისწინება, გაუმართლებელია, აზარალებს ქვეყანას და ხალხს. ნათქვამია – შორიდან უფრო კარგად ჩანს ყველაფერიო.

„რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი, მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი, მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი, სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

ფინანსთა მინისტრს ბატონ ნოდარ ხადურს ოპონენტები ადანაშაულებენ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ანემიაში, მიჩქმალვა-მიყრუებაში. კრიჭაში ხომ არ ჩაუდგებოდა შეფს და თანაგუნდელებს. მან თქვა, შოკუნიები არისო. უნდა გავუგოთ ბატონ ნოდარ ხადურს, კილოგრამი გრამებისგან შედგება, შოკი – შოკუნიებისგან. იმდენი შოკუნიაა, რომ ორ შოკს ეყოფა. ცოტაც ვადროოთ ბატონ ნოდარ ხადურს, გაქირს მორჩება და ყველასთვის გასაგებად იტყვის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური შოკია და ლარი სულს ღაფავს.

ნატოს კარი ზოგისთვის დაკეტილია, ზოგისთვის იღება, ზოგისთვის ღიაა. საქართველოსთვის ნატოს კარი იღება, მაგრამ ძნელად, ნელა და ჭრიჭინით. ჩვენი თხოვნაა შევზეთოთ ანჯამები.

ო. შ.
ტ. 239-05-92

◎ ინფორმაცია

„რომელი რემბო მე მნახეთ, ამხელა აქციას მოვრეოდი!“

თბილისში, პარლამენტის შენობასთან მიმდინარე აქციაზე, სადაც საგზაო მოძრაობის წესებში შესატან ცვლილებებს აპროტესტებდნენ, ინციდენტი მოხდა.

კერძოდ, აქციაზე შეხლა-შემოხლა მოჰყვა საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის თამაზ მეჭიაურის გამოჩენას, როცა აქციის მონაწილეებმა სტვენა დაიწყეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილე ამტკიცებს, რომ დეპუტატმა მას სახეში ხელი გაარტყა.

საპროტესტო აქცია ინციდენტის შემდეგ ისევ გაგრძელდა. პარლამენტთან შეკრებილი იყვნენ მარჯვენასაჭიანი ავტომობილის მძღოლები, ავტოდილერები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

მათი მოთხოვნებია: კერძოდ, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის საკითხი გაუქმდეს. ასევე შეიცვალოს განბაჟების სისტემა, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში კანონპროექტის სახით, რადგან ის მათთვის მიუღებელია. აქციის მონაწილეები მოითხოვენ ასევე 100-ქულიანი სისტემის ამოქმედების გადავადებას, რადგან მოქალაქეების ინფორმირებულობა ამ საკითხზე ნაკლებია.

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის თამაზ მეჭიაურის განცხადებით, მას აქციის მონაწილისათვის ხელი არ გაურტყამს.

„არავისთვის ხელი არ დამირტყამს. რომელი რემბო მე მნახეთ. გგონიათ ამხელა აქციას ხელით მარტო მოვერეოდი? საჭეც არავის ეკავა და რა უნდოდათ, ისიც არ ვიცი“, – განუცხადა ჟურნალისტებს თამაზ მეჭიაურმა.

მედიანიუსი

◎ სატრანზიტო დერეფანი

„ვიკინგი“ საქართველოში

ევრაზიის რუკაზე ერთი დახედვითაც გეოგრაფიაში სრულიად გაურკვეველი კაციც უცბად მიხვდება, რომ კავკასია ამ სუპერკონტინენტზე აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებების ბუნებრივი გზაჯვარედინია. ამ როლს იგი ათასწლეულების მანძილზე, ჯერ კიდევ ხალხთა დიდი გადასახლების დროიდან მოყოლებული ასრულებდა და 21-ე საუკუნეშიც ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულებას განაგრძობს. ახლო მომავალში კი დიდი აბრეშუმის გზის საქართველოს მონაკვეთი კიდევ ერთ საპასუხისმგებლო დატვირთვას შეიძენს და შუა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი ერთ-ერთი მთავარი რგოლი გახდება.

საქმე ის არის, რომ სულ ახლახან საქართველო მეტად მნიშვნელოვანი, მასშტაბური საერთაშორისო ლოჯისტიკური პროექტის „ვიკინგ თრეინის“ (Viking Train) მონაწილე გახდა. აღნიშნული პროექტი ევროპის რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის **ლიტვის, უკრაინის, ბულგარეთის, ბელარუსის, რუმინეთის, თურქეთისა** და **მოლდოვას** ერთობლივ სარკინიგზო პროექტს წარმოადგენს. მისი მიზანი და ამოცანა ბალტიისპირეთის რეგიონის ქვეყნების საზღვაო საკონტეინერო სისტემის შავი და ხმელთაშუა ზღვების ასეთივე სტრუქტურებთან უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფაა.

კომბინირებული სატვირთო მატარებლის „ვიკინგის“ რეგულარული მოძრაობა 2003 წლის თებერვალში დაიწყო, ცოტა ხანში კი ევროკავშირის სატრანსპორტო კომისიამ იგი სატვირთო გადაზიდვების სფეროში კონტინენტის საუკეთესო ევროპულ პროექტად აღიარა. „ვიკინგის“ ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს ბალტიის, შავ და ხმელთაშუა ზღვების რეგიონების ქვეყნებს შორის საქონლის გადაზიდვების სქემების ოპტიმიზაცია, მუშავდება სათანადო რეკომენდაციები, რომელთა მიზანია მულტიმოდალური (ანუ შერეული) და ინტერმოდალური გადაზიდვების სამართლებრივი და ორგანიზაციული სტრუქტურის, საკონტეინერო და სატრაილერო მატარებლებისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესება.

პროექტ „ვიკინგის“ განხორციელების ფარგლებში შესაძლებელი ხდება საკონტეინერო სატრანზიტო გადაზიდვებში შუა აზიის, სამხრეთ კავკასიისა (პროექტს, სავარაუდოდ, მალე აზერბაიჯანიც შეუერთდება) და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სკანდინავიის ქვეყნებთან დაკავშირება ბალტიისპირეთის რეგიონის მეშვეობით. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება აზია-ევროპის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანში საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვანძად გადაქცევაში.

პროექტის საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველო „ვიკინგისა“ და ტრასეკას სატრანზიტო კორიდორის შემართებელი პუნქტი იქნება.

სს „საქართველოს“ რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა **მამუკა ბახტაძემ** აღნიშნულ პროექტში საქართველოს ჩართვასთან დაკავშირებით, კერძოდ, განაცხადა:

– პროექტი „ვიკინგი“, რომელსაც 2015 წლის აპრილში ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე შევუერთდით, ბალტიისა და შავი ზღვების აუზების ქვეყნების სატრანსპორტო კავშირების ინტენსიფიკაციას გულისხმობს. ამჟამად მასში უკვე რვა სახელმწიფოა გაწევრებული, გაისად კი, როგორც ჩანს, პროექტში აზერბაიჯანიც ჩაერთვება. თავისი შინაარსით პროექტი თითოეული მონაწილე ქვეყნისთვის სტრატეგიულად მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანია. როგორც წესი, გადაზიდვები სატრანსპორტო ოპერაციების დაგეგმვას დიდად ართულებს, თუმცა, იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში მანძილი კლასიკურ საზღვაო მარშრუტთან შედარებით ორჯერ მცირეა, კლიენტები „ვიკინგის“ მიმართ საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენენ. ვფიქრობთ, რომ მომავალში პროექტის ფარგლებში ტვირთბრუნვა გაორმაგდება. ჩვენი გათვლებით, იმ ტვირთბრუნვის 15 პროცენტი, რომელიც შუა აზიის ქვეყნებსა და ბალტიის ზღვის ქვეყნებს, ასევე ჩრდილოეთ ევროპას შორის სადღეისოდ არსებობს, პროექტ „ვიკინგის“ ფარგლებში გაივლის.

უნდა ითქვას, რომ ამ გამორჩეული ლოჯისტიკური პროექტის მონაწილეთა საერთო აზრით, „ვიკინგში“ აზერბაიჯანის გაწევრებით შუა აზია – ჩრდილოეთ ევროპის სტრატეგიული მიმართულების მთლიანი სატრანსპორტო ჯაჭვი გადაიბმევა, რაც მას სხვა ქვეყნებისთვისაც და, მით უმეტეს, პოტენციური კლიენტებისთვის, გაცილებით მიმზიდველს გახდის. გაერთიანებაში, რომელშიც მრავალი მონაწილე მხარე იქნება, განსაკუთრებული ყურადღება სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვებს დაეთმობა.

სპეციალისტების აზრით, ყველა რკინიგზის მაგალითი მოწმობს, რომ თანამშრომლობის პროცესში ქვეყნები ახალ შესაძლებლობებს პოულობენ. ამიტომაცაა, რომ „ვიკინგში“ მონაწილე ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის მესვეურები იმედოვნებენ, რომ პროექტის წევრთა რიცხოვნობის ზრდა ყველა ქვეყანაზე დადებითად აისახება.

ნინო ალექსანდრია

ხარძიანის გახმაურებული მკვლელობა გახსნილია!



საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, შსს-თან ერთად, ბიზნესმენ ბესარიონ ხარძიანის მკვლელობა გახსნილად გამოაცხადა. მკვლელობაში მხილებული არიან უკრაინის მოქალაქე, 1985 წლის 29 მაისს დაბადებული ალექსანდრ დამეტოვი და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1973 წლის 4 სექტემბერს დაბადებული ოლეგ დოევი.

შეგახსენებთ, რომ თბილისში ბიზნესმენი ბესო ხარძიანი 2015 წლის მარტში მოკლეს. არსებული ინფორმაციით, ბიზნესმენს სამჯერ ესროლეს, დაჭრილი საავადმყოფოში გადაჰყავდათ, თუმცა მისი დახმარება ექიმებმა ვეღარ შეძლეს.

მოკლული ბიზნესმენის ოჯახის წევრები ამბობდნენ, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო. ხარძიანების აზრით, ბიზნესმენი **გია უდესიანის** შეკვეთით მოკლეს.

ოფიციალური ინფორმაციით, უდესიანის და ხარძიანის მიზნები კომპანია „კუს ტბა კალასში“ იკვეთებოდა. საჯარო რეესტრის მომდევნო ამონაწერში კუს ტბის მფლობელებს შორის ხარძიანების ოჯახის წევრები აღარ იყვნენ. ოფიციალური დოკუმენტებით, ბესიკ ხარძიანმა თავისი 29% თითქმის მილიონ ლარად გაყიდა. წილები გაყიდეს მისმა მეუღლემ და ძმამაც. ეს ერთ დღეში მოხდა.

ხარძიანების ოჯახისგან ბრალდებული გია უდესიანის ოჯახის წევრები კი უდანაშაულობის პრეზუმფციაზე მიუთითებდნენ და აცხადებდნენ, რომ თუ მათი ძმის მიმართ ცილისმწამებლური განცხადებები გაგრძელდებოდა, ისინი სასამართლოს მიმართავდნენ.

გია უდესიანი — ტყვიის სროლის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, თბილისის სპორტის საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი, სპორტის მინისტრის ყოფილი მოადგილე, ამჟამად საქართველოში არ იმყოფება.

საქმეზე მიმდინარე გამოძიების პროცესში ამოღებულია დეტალური ინფორმაცია საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორების კუთვნილ 154 სატელეფონო ანძაზე გამოძიებისათვის საინტერესო პერიოდში დაფიქსირებული შემავალი და გამავალი ზარების შესახებ. საგამოძიებო ჯგუფის მიერ დამუშავდა ხსენებულ ანძებზე დაფიქსირებული 26 173 614 ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება და ინტერნეტ აქტივობა. გამოძიების პროცესში ასევე ამოღებული და გამოკვლეულია საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის დედაქალაქში განთავსებული საჯარო და კერძო დაწესებულებების კუთვნილი გარე მეთვალყურეობის კამერების ჩანაწერები, რომელთა საერთო ხანგრძლივობა აღემატება 4900 საათს. გარდა ამისა, დაიკითხა ათეულობით თვითმხილველი და გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაციის მქონე მოწმე, ჩატარდა დამნაშავე პირთა ამოცნობები, სასამართლო-სამედიცინო, ტექნიკური, ბიოლოგიური, ქიმიური, ტრასოლოგიური, დაქტილოსკოპიური, ბალისტიკური ექსპერტიზები.

საძმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა:

ბესარიონ ხარძიანის განზრახ მკვლელობის მიზნით, 2015 წლის 13 იანვარს, ოლეკსანდრ დამეტოვი და ოლეგ დოევი კიევი-თბილისის რეისით ჩამოფრინდნენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. იმავე დღეს ოლეკსანდრ დამეტოვი დროებით დაბინავდა ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №44-ში მდებარე სასტუმრო „GGS“-ში, ხოლო ოლეგ დოევი — ქ.თბილისში, ვარკეთილის მასივში მდებარე ერთ-ერთ ბინაში.

2015 წლის 16 იანვარს, დამეტოვმა და დოევმა კერძო პირისაგან, იქირავეს ქ. თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი ბინა, სადაც ცხოვრობდნენ 2015 წლის 28 მარტამდე.

2015 წლის 18 იანვარს, პეკინის გამზირზე მდებარე „ჯორდანოს“ მაღაზიათა ქსელში ო. დამეტოვმა შეიძინა ორმხრივი გამოყენების ქურთუკი, რომლის ამობრუნებით იცვლებოდა ქურთუკის ფერი.

2015 წლის 4 მარტს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე მობილური ოპერატორის ოფისში დამეტოვმა და დოევმა ტელეფონის სიმ-ბარათებზე გააიქტიურეს ინტერნეტ მომსახურების სერვისი.

2015 წლის 15 მარტს, ხსენებულმა პირებმა კახეთის გზატკეცილზე მდებარე ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტში, შეიძინეს „ჰონდას“ მარკის ლურჯი ფერის მინი მოპედი და შავი ფერის ჩაფხუტი.

გამოძიებამ დეტალურად შეისწავლა მკვლელობაში ბრალდებული პირების მოპედით გადაადგილების მარშრუტები 2015 წლის 15 მარტიდან (მოპედის შეძენიდან) მკვლელობამდე, ანუ 2015 წლის 28 მარტამდე პერიოდში.

მკვლელობის დღეს, 2015 წლის 28 მარტს, 10:32 წუთზე, ოლეკსანდრ დამეტოვმა მოპედით მოძრაობა დაიწყო კოსტავასა და სულაკაურის ქუჩების კვეთაზე მდებარე „ხალიკ ბანკის“ მიმდებარე ტერიტორიიდან, ვარაზის ხევის გავლით ავიდა მელიქიშვილის გამზირზე სასტუმრო „საქართველოსთან“ და თარხნიშვილის, ბარნოვისა და შატბერაშვილის ქუჩების გავლით გაემართა მარაბდის ქუჩაზე მდებარე ბესარიონ ხარძიანის საცხოვრებელი სახლისაკენ, სადაც დაყოვნდა რამდენიმე წამით, შემდეგ დატოვა აღნიშნული ადგილი და მომდევნო ერთი საათის განმავლობაში მოძრაობდა მარაბდის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებზე.

იმავე დღეს, 12:20 საათზე, ბესარიონ ხარძიანი საკუთარი ავტომანქანით გამოვიდა საცხოვრებელი სახლიდან და მივიდა საქმიან შეხვედრაზე მელიქიშვილის გამზირზე მდებარე სასტუმრო „საქართველოში“. შეხვედრის მიმდინარეობის პერიოდში ოლეკსანდრ დამეტოვი მოპედით მოძრაობდა ბესარიონ ხარძიანის საცხოვრებელი სახლისა და სასტუმრო „საქართველოს“ მიმდებარე ტერიტორიებზე.

ხარძიანმა სასტუმრო „საქართველოს“ მიმდებარე ტერიტორია დატოვა 13:43 საათზე და თარხნიშვილის ქუჩის გავლით გაემართა საკუთარი საცხოვრებელი სახლისაკენ, რა დროსაც ბარნოვის ქუჩაზე არსებულ გარე მეთვალყურეობის ვიდეოკამერებზე დაფიქსირებულია, თუ როგორ მიჰყვება მოპედით დამეტოვი ბესარიონ ხარძიანის ავტომანქანას.

მარაბდის ქუჩა №25-ში, ავტომანქანიდან გადმოსული ბესარიონ ხარძიანი შევიდა საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში, სადაც მას შეჰყვა ოლეკსანდრ დამეტოვი და მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღით ბესარიონ ხარძიანს სამჯერ ესროლა, რითაც ბესარიონ ხარძიანს მიაყენა სამი შემავალი ცეცხლნასროლი ჭრილობა, მათ შორის ერთი საკონტროლო, თავის არეში. მკვლელობის შემდეგ, დამეტოვი მოპედის მეშვეობით მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება და ჩაფხუტი დატოვა კეკელიძის ქ. №23-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მდებარე ერთ-ერთ ავტოფარეხთან, რუხი ფერის ნაჭრის ქუდი შემოაგდო ავტოფარეხის სახურავზე, შემდეგ კი გააჩერა ტაქსი და გაემართა რკინიგზის სადგურის მიმართულებით.

გზაში, თამარ მეფის ხიდთან, ტაქსის მძღოლს მოსთხოვა გაჩერება, გადაუხადა მგზავრობის საფასური, გადმოვიდა ავტომანქანიდან, თამარ მეფის ხიდიდან მდინარე მტკვარში გადააგდო დანაშაულის ჩადენის იარაღი — „მაკაროვის“ სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი, რომელიც იპოვა და ამოიღო გამოძიებამ.

ამის შემდეგ, ოლეკსანდრ დამეტოვმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიმართულებით ჩაირბინა თამარ მეფის ხიდთან არსებული კიბეები, რა დროსაც კვალის არევის მიზნით შემოიბრუნა ორმხრივი, ორფეროვანი ქურთუკი და ჩაჯდა MERSEDERS-BENZ E-კლასის მარკის ტაქსში, რაც დაფიქსირებული იქნა აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამერებით. ხსენებული ტაქსით თამარ მეფის ხიდისა და გმირთა მოედნის გავლით გადაადგილდა კოსტავას გამზირის მიმართულებით, ჩამოვიდა „ხალიკ ბანკთან“ და ფეხით გაემართა ნაქირავები ბინისაკენ. იმავე დღეს, ბინიდან მათი მოულოდნელი წასვლის მოტივით დამეტოვი დაუკავშირდა ბინის მეპატრონეს და თანამზრახველთან ერთად სასწრაფოდ დატოვა ნაქირავები ბინა.

დაახლოებით 15-16 საათისათვის ოლეკსანდრ დამეტოვი და ოლეგ დოევი, პეკინის გამზირზე ჩასხდნენ „ფოლკსვაგენ ვენტოს“ მარკის ტაქსში და გაემართნენ ორთაჭალაში მდებარე ავტოსადგურის მიმართულებით, სადაც იქირავეს „MERSEDERS-BENZ S“-კლასის მარკის ტაქსი და გაემგზავრნენ სარფში.

იმავე დღეს, მკვლელობიდან რამდენიმე საათში, დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთზე, ოლეკსანდრ დამეტოვმა და ოლეგ დოევმა, სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით, ფეხით გადაკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და მიიმალნენ.

ო. დამეტოვის მიერ კეკელიძის ქუჩაზე მიტოვებული მინი მოპედიდან, ჩაფხუტიდან, ნაქსოვი ქუდიდან, ასევე პეკინის ქუჩაზე დამეტოვისა და დოევის მიერ დაქირავებული საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული იქნა დნმ-ის ნიმუშები, რომლებიც ჩატარებული ბიოლოგიური ექსპერტიზით ერთმანეთის იდენტური აღმოჩნდა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ოლეკსანდრ დამეტოვმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა ყალბი პასპორტის გამოყენებით და მკვლელობის ჩადენის შემდეგ იმავე დოკუმენტის გამოყენებით დატოვა ქვეყნის ფარგლები. ამ ეტაპზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დეტალების გასაჯაროვებაზე გამოძიება თავს იკავებს.

ჩადენილი დანაშაულისათვის ოლეკსანდრ დამეტოვსა და ოლეგ დოევს ბრალდება წარედგინათ ჯერ კიდევ 2015 წლის 26 აპრილს, კერძოდ: ოლეკსანდრ დამეტოვს წარედგინა ბრალდება ბესარიონ ხარძიანის შეკვეთით განზრახ მკვლელობისათვის და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის, საქართველოს სსკ-ის 109 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ხოლო ოლეგ დოევს წარედგინა ბრალდება შეკვეთით განზრახ მკვლელობაში დახმარებისათვის, საქართველოს სსკ-ის 25, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

იმავე დღეს ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა და მათ მიმართ გამოცხადდა შიდა ძებნა, ხოლო 2015 წლის 28 აპრილს — საერთაშორისო ძებნა.

2016 წლის 12 იანვარის დადგენილებით, ოლეკსანდრ დამეტოვს წარედგინა დაზუსტებული ბრალდება ბესარიონ ხარძიანის შეკვეთით განზრახ მკვლელობისათვის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებისათვის, საქართველოს სსკ-ის 109-მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 344-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით.

წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 16-დან 20-წლამდე ვადით ან უვადოდ.

წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 16-დან 20-წლამდე ვადით ან უვადოდ.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობის ჩადენიდან რამდენიმე დღეში, გამოძიებისათვის უკვე ცნობილი იყო დამნაშავე პირთა ვინაობა, იმის გამო, რომ გამოძიებას ხელი არ შეშლოდა მტკიცებულებების მოპოვებაში, დანაშაულის რეალური გარემოებების დადგენასა და ძებნილ პირთა მიმართ წარმოებულ დაკავების ღონისძიებების გატარებაში, პროკურატურის მიერ არ გასაჯაროვდა საქმის დეტალები

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე მკვლელობაში ბრალდებულ პირთა მიმართ გამოძიება დასრულებულია, ამოიწურა წინასასამართლო სხდომამდე ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადა და საქმე არსებითად განსახილველად გადაეგზავნა სასამართლოს, პროკურატურას მიზანშეწონილად მიაჩნია გაასაჯაროოს გამოძიების შედეგები, ვინაიდან საქმეზე სასამართლოში უნდა დაიწყოს არსებითი განხილვა, რაც საჯაროა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

რაც შეეხება ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში მონაწილე სხვა პირებს, მათი მხილების მიზნით გრძელდება ინტენსიური გამოძიება, ხოლო ძებნილ პირთა ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით, ტარდება შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

აკადემიკოსი მზექალა შანიძე – ჭეშმარიტი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

16 იანვარს აკადემიკოს მზექალა შანიძის დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ჩვეული სიმხნით, შემართებით, ფხიზელი თვალითა და ყურით, ახალი შემოქმედებითი გეგმებით შეხვდა ამ დღეს. იგი დამსახურებულად იმკის თავისი მრავალწლიანი შრომისა და რუდუნების, მრავალმხრივ დათესილი სიკეთის საზღაურ პატივისცემასა და სიყვარულს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი მზექალა შანიძე საყოველთაოდ არის აღიარებული როგორც თანამედროვეობის თვალსაჩინო მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, დამსახურებული პედაგოგი და აღმზრდელი. მისი ყოველი ნაშრომი ქართველოლოგთა, ქართული სულიერი კულტურის შესწავლით დაინტერესებულ პირთა სამაგიდო წიგნებად არის ქცეული, ხოლო მისი აღზრდილები წარმატებით იკვლევენ ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის, საზოგადოდ, ქართული კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

მზექალა შანიძე დაიბადა და აღიზარდა თბილისში, დიდი ქართველი მეცნიერის, ეროვნული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და ქართული ფილოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკადემიკოს აკაკი შანიძის ოჯახში. მოზარდი მზექალა შანიძე შესანიშნავ ზოგად ფილოლოგიურ განათლებას, პირველ რიგში, საკუთარი მამის – დიდი აკაკი შანიძის – სამეცნიერო გარემოს მეშვეობით ეზიარა; ხოლო შემდეგ მისი საფუძვლიანი პროფესიული დაოსტატების სამჭედლო აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ (1943-45 წ.წ.) ფილოლოგიის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, რომელიც 1945 წელს გამოეყო ფილოლოგიის ფაკულტეტს და ჩამოყალიბდა ქართული მეცნიერების კიდევ ერთ ჩინებულ სკოლად. ამ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სტუდენტი მზექალა შანიძე ხანგრძლივად იყო მივლინებული (1948-1949 წ.წ.) პეტერბურგში, სადაც სწავლობდა და დამატებით სამეცნიერო წრთობას გადიოდა ცნობილ სემიტოლოგთან, აკად. ე. კრაჩკოვსკისთან. თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1948-1951 წლებში იგი გადის ასპირანტურის კურსს ცნობილი სემიტოლოგის, აკად. გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით.

ასპირანტურის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა მეცნიერმა წარმატებით საკანდიდატო დისერტაცია სწორედ სემიტოლოგიის მიმართულებით, სემიტური ენების ფონეტიკაში დაიცვა; დისერტაციის თემა იყო „ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულში“.

ქალბატონი მზექალა შანიძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ნუსხა თავისთავად არის შთამბეჭდავი:

1952 წლიდან 2006 წლამდე ქალბატონი მზექალა მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სემიტოლოგიისა და ძველი ქართული ენის კათედრებზე, კითხულობდა ძველი ებრაული ენის, სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის, ძველი ქართული ენისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კურსებს; 1980-იან წლებამდე იგი იყო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი, ხოლო შემდეგ – პროფესორი; ამ ათი წლის წინათ ჩატარებული ცვლილებების შემდგომ ქალბატონი მზექალა უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრია.

1953-1961 წლებში იგი იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერი მუშაკი, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების შემდეგ – ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი, 1968-2002 წლებში ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ხოლო 2002-2006 წლებში ინსტიტუტის მთავარი კონსულტანტი.

1982-2004 წლებში თსუ ლაბორატორია „ორიონის“ ხელმძღვანელი.

1995 წელს გახდა გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

2002 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი.

ყველა ამ სახელოვან ქართველოლოგიურ ინსტიტუტში ქალბატონი მზექალა წარმატებით იკვლევდა სემიტური ენების, ძველი და ახალი ქართულის სტრუქტურისა და ისტორიის, ლექსიკოლოგიისა და ეტიმოლოგიის, ტექსტოლოგიისა და სხვ. მნიშვნელოვან საკითხებს. მას გამოქვეყნებული აქვს ორასამდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, არაერთი მისი ნაკვლევი აშშ-ვენებს ევროპის ქვეყნების მაღალრეიტინგულ გამოცემებს.

როგორც აღინიშნა, მეცნიერმა მიიღო შესანიშნავი ორიენტალისტური წრთობა და მისი სამეცნიერო კარიერა სერიოზულ პერსპექტივას წარმოაჩენდა. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მეცნიერმა ეს ფართო ცოდნა და თეორიულ-მეთოდოლოგიური მომზადება საბოლოოდ მაინც ჩააყენა ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის სამსახურში. მან მთელი ყურადღება გადაიტანა ქართული ფილოლოგიის ყველაზე მდიდარსა და განსაკუთრებულად მნიშვნელოვან უბანზე – ქართული ქრისტიანული კულტურის ხელნაწერ მემკვიდრეობაზე. ამ საქმის სამსახურში ჩადგა მეცნიერის მრავალმხრივი მოღვაწეობა ზემოდასახელებულ ინსტიტუციებში, მისი კვლევა-ძიებითი ექსპედიციები უცხოთის ისტორიულ სამონასტრო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში, მისი აქტიური სამეცნიერო კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის უცხოელ ქართველოლოგებთან.

აკად. მზექალა შანიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიბლიურ წიგნთა ისეთი მარგალიტის კვლევას, როგორიც არის დავით მეფის საგალობლები – „დავითნი“. ამ წიგნს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიაში. როგორც დიდი მეცნიერი კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ყველაზე ადრე ძველი აღთქმის წიგნებიდან, ეჭვს გარეშეა, უნდა თარგმნილიყო დავითნი, ვინაიდან ძველად ღვთისმსახურებაში, სანამ ჰიმნოგრაფიული ელემენტი გაჩნდებოდა, ფსალმუნი სჭარბობდა“. სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობა გახდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკვლევრის სამეცნიერო ცხოვრების განუყოფელ თემად, ვინაიდან გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოკიდებული იგი დღემდე აქტიურად მუშაობს ამ ძეგლის ქართული თარგმანების ვერსიებზე. მან X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით დაადგინა და 1960 წელს გამოსცა „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები“ (სერია „ძველი ქართული ენის ძეგლები“). ეს იყო ბიბლიური წყაროების ერთ-ერთი სანიმუშო გამოცემა, რომელსაც სკრუპულოზური ფილოლოგიური მუშაობა უძღოდა წინ. ნიშანდობლივია, რომ მეცნიერმა სადოქტორო ხარისხი სწორედ ამ მუშაობის შედეგებზე დაიცვა 1975 წელს, ხოლო 1979 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მკვლევრის ენობრივ-ტექსტოლოგიური დაკვირვებანი აღნიშნული ხელნაწერი წყაროების შესახებ: „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“, ერთ-ერთი სანიმუშო ნაშრომი ბიბლიურ წიგნთა კვლევაში. ამ მრავალმხრივი კვლევის შედეგებმა, თავის მხრივ, მოგვიანებით ასახვა ჰპოვა კიდევ ერთ სამეცნიერო პროექტში, რომლის საფუძველზე 2010 წელს გამოიცა მეცნიერის მიერ ამ მასალების მიხედვით მომზადებული „ქართული ფსალმუნის სიმფონია“ (მასალები ადრეული ვერსიებისათვის და გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის სიმფონია. ამ წიგნების სახით სამეცნიერო საზოგადოებას მიეწოდა ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის პირველხარისხოვანი გამოკვლევები, რომელთაც ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ ამ ღვთიური საგალობლების შესწავლა ამით არ დასრულებულა. გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ ქართული მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა ქართული „დავითნის“ კიდევ რამდენიმე ახალი ვერსია ათონის მთისა და სინას მთის ხელნაწერთა კოლექციებიდან და აკად. მზექალა შანიძე დღესაც აქტიურად მუშაობს ამ მასალების შესაჯერებლად საკუთარი კვლევის შედეგებთან და მათ ჩასართავად ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში.

მამა-შვილი აკაკი და მზექალა შანიძეები.

აკად. მზექალა შანიძეს, საზოგადოდ, დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის წარმოჩენასა და შესწავლაში. როგორც ითქვა, ქალბატონი მზექალა წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებასა და ილ. აბულაძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, მონაწილეობდა არაერთ სამეცნიერო ექსპედიციაში საქართველოს უცხოურ სამონასტრო ცენტრებში, რის შედეგადაც გამოავლინა და მეცნიერულად შეისწავლა არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი ძეგლი. მაგალითად, ასეთი ფასეული გამოკვლევებია: სამენოვანი აღწერილობა 1975 წელს სინას მთაზე აღმოჩენილი ქართული ხელნაწერებისა (ზ. ალექსიძეს, ლ. ხევსურიანსა და მ. ქავთარიასთან ერთად): Catalogue of Georgian Manuscripts discovered in 1975 at St. Catherine's Monastery on Mt. Sinai, Athens,, 2005, რედაქტორი და ინგლისური ნაწილის მთარგმნელი მზ. შანიძე. The old Georgian Version of the Liturgy of St.James (თანააგტ.: ლ. ხევსურიანი, მ. ქავთარია), Munster, 2011, ძველი ქართული ტექსტისა და გამოკვლევის მთლიანი ინგლისური თარგმანი ეკუთვნის მზ. შანიძეს. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი (ნ. გოგუაძისა და ზ. სარჯველაძის თანარედაქტორობით), I ტომი, თბ. 2005, II ტომი, თბ. 2007, III ტომი, თბ. 2014.

პროფ. მზექალა შანიძემ ღირსეულად გააგრძელა ქართული ფილოლოგიის ის ტრადიციები, რომელიც აკადემიურ ტექსტოლოგიასთან, ისტორიული ტექსტების მეცნიერულ დადგენა-გამოცემასთან არის დაკავშირებული და რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი აკადემიკოსი აკ. შანიძეც ბრძანდებოდა. გარდა იმისა, რომ ქალბატონმა მზექალამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბიბლიური ტექსტების გამოცემასა და კვლევაში, მან ასევე არაერთი წლის რუდუნებით საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი განუმეორებელი ძეგლი, როგორიცაა ანონიმი ავტორის „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“, და ძალზე ბევრი გაკეთა ამ უძვირფასესი ძეგლის აკადემიური ტექსტის დადგენისა და მისი გამოცემისათვის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე (გამოიცა 1992 წელს). გარდა თხზულების ტექსტის აღნაგობისა და უაღრესად საინტერესო და რთული ენობრივი ქსოვილის სერიოზული გამართვისა, მათ შორის, არაერთი მახვილგონივრული კონიექტურისა, რამაც ბევრად უფრო მისაწვდომი გახადა ტექსტის ნამდვილი შინაარსი, გამოცემა აღჭურვილია შესანიშნავი ფილოლოგიური გამოკვლევით ამ ტექსტის (შესაბამისი ხელნაწერების) ენობრივი ხასიათის, ლექსიკური შედგენილობისა თუ მისი ფაქტობრივ-**ლიტერატურული წყაროების შესახებ.**

ქალბატონმა მზექალა შანიძემ ასევე კრიტიკულად შეისწავლა და მაღალი დონის აკადემიურ გამოცემად მოამზადა კიდევ ერთი ისტორიული თხზულება – ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიული თხზულებები, საქართველოს ორი უდიდებულესი მეფის ცხოვრების მატიანე, უმნიშვნელოვანესი ნაწილი საქართველოს ისტორიისა, საფუძვლიანად იყო ნაკვლევი და აკადემიური ტექსტის სახით დადგენილი, ქალბატონი მზექალას მიერ

ჩატარებულმა ღრმა ტექსტოლოგიურმა ანალიზმა არაერთი ბლასტი და იკითხვისი სრულიად ახლებური კუთხით წარმოაჩინა და დიდად წასწია წინ ამ თხზულებათა კვლევის საქმე.

მზექალა შანიძის მიერ მომზადებული ეს თხზულებები შეავიდა „ქართლის ცხოვრების“ თანამედროვე აკადემიურ გამოცემაში, რომელიც აკად. როინ მეტრეველის მთავარი რედაქტორობით გამოვიდა 2008 წელს და რომლისათვისაც წიგნის შემდგენლებმა, მათ შორის — ქალბატონმა მზექალა შანიძემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურეს.

„ქართლის ცხოვრების“ ამ სარედაქციო შემადგენლობის მიერ კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საქმეს დაედგა გვირგვინი — ეს საისტორიო წიგნები მთლიანად ითარგმნა და იმავე წელს გამოიცა რუსულად. ზემოთ დასახელებული თხზულებები მზ. შანიძის მიერვე არის რუსულად თარგმნილი. ამ დროიდანვე დაიწყო ამ ტექსტების ინგლისური თარგმანის მომზადება და ახლახან „ქართლის ცხოვრების“ აკადემიურად გამართული ინგლისური ვერსიაც მიიღო საზოგადოებამ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული საისტორიო წყაროების საერთაშორისო არენაზე გატანისათვის.

ქართული გრამატიკული (ენათმეცნიერული) აზრის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მზ. შანიძის მიერ აკადემიურად შესწავლილსა და გამოცემულ გრამატიკულ ტრაქტატს „სიტყუაჲ ართრონთათვის“ (თბ. 1990). ეს ტრაქტატი ერთგვარად ავსებს იმ თეორ ლაქას, რომელიც, ესოდენ მონოლითური ძველი ქართული მწიგნობრული ტრადიციის ფონზე, წერილობით შემონახული გრამატიკული ნორმების არარსებობას უკავშირდებოდა. საქმე ის არის, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა იმდენად მოწესრიგებულია ნორმატიულად და იმდენად სტაბილურია საუკუნეთა განმავლობაში, ამ ენაზე იმდენად სერიოზული მთარგმნელობითი და ორიგინალური სამწერლობო სკოლებია ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია ეს ყოველივე საფუძვლიანი გრამატიკული კულტურის გარეშე შექმნილიყო.

ამიტომაც სრულიად ლოგიკურია, რომ სწორედ პროფ. მზექალა შანიძემ გამოავლინა, შეისწავლა და სათანადო გამოკვლევითურთ გამოსცა უძველესი გრამატიკული ტრაქტატი ქართულ ენაზე („სიტყუაჲ ართრონთათვის“), რომელიც მე-11-12 საუკუნეთა გრამატიკულ აზროვნებას ასახავს საქართველოში, კერძოდ, მკვლევრის დამაჯერებელი ვარაუდით, — ეფრემ მცირის ლიტერატურულ სკოლაში არსებულ გრამატიკულ ცოდნას. როგორც თვით ტრაქტატს, ისე ამ აკადემიურ გამოკვლევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის, ვინაიდან ის მხოლოდ ბერძნული გრამატიკული საკითხების ცოდნას კი არ ავლენს, არამედ ქართული ენის ცალკეული მოვლენების ხედვასა და ანალიზსაც. მკვლევარმა ეს აზრი უეჭველი გახადა პირველი ქართული გრამატიკული ტრაქტატის — „სიტყუაჲ ართრონთათვის“ — გამოცემითა და გამოწვლილვითი შესწავლით. ეს თხზულება მეცნიერისათვის დამახასიათებელი სიზუსტით, სიღრმითა და სისრულით არის გამოკვლეული როგორც სრუქტურულად და შინაარსობრივად, ისე ენობრივ-სტილისტიკურად, განსაკუთრებით კი — სისტემის აღმწერ ცნებათა, ტერმინოლოგიურ ერთეულთა თვალსაზრისით.

აკად. მზექალა შანიძის, როგორც ქართული ენის მკვლევრის, სამეცნიერო ინტერესები თემების, პრობლემების ფართო წრეს მოიცავს. პირველ რიგში, ეს არის ისტორიული ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხები ძველი და გარდამავალი პერიოდის ქართულის ენობრივი მონაცემების მიხედვით, ასევე სალიტერატურო ენის აქტუალური ნორმატიული პრობლემები. ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერი მუდმივად ადევნებს თვალს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებს და საზოგადოებას სთავაზობს ნორმატიულ რეკომენდაციებს ღრმა ისტორიზმისა და ფართო თეორიული თვალთახედვის საფუძველზე; ამიტომაც მისი წინადადებები ამ სფეროში ყოველთვის საფუძვლიანია და ანგარიშგასაწევი; მაგალითად, ასეთი აკადემიური სტატიებია: „ი ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში“ (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XI, 1998 ; „ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში“ (თსუ გიორგი ახვლედიანი, თბ., 1969)... ნიშანდობლივია, რომ სწორედ ქალბატონი მზექალა ხელმძღვანელობს ქართული სახელმწიფო ენის კომისიას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში.

განსაკუთრებული ინტერესითა და პოპულარობით სარგებლობს მზ. შანიძის ლექსიკოლოგიური, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიებანი. საყოველთაოდ არის ცნობილი, მეტიც, ქართული ფილოლოგიის განუყოფელი ნაწილია მისი ცალკეული ძიებანი ამ მიმართულებით; მაგ.: „სიღოდა და მეღოდარი ქართულში“ (მაცნე, 1964 ; „ნეზვის ეტიმოლოგიისათვის“ (ორიონი, 1967); „ნადი და მამითადი“ (ძვ. ქართ. ენის კათედრ. შრ. № 23, 1980); „თირკუმელ სიტყვა ქართულში“ (კრ. „ვარლამ თოფურია — 100“, 2001); „დაჰმანი“ („დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“, თბ., 2012) და სხვანი.

განსაკუთრებულია ქალბატონი მზექალას წვლილი როგორც პედაგოგისა, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ორგანიზატორისა. როგორც ითქვა, მეცნიერი სხვადასხვა დროს იყო უნივერსიტეტის, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ჯგუფებისა და განყოფილებების ხელმძღვანელი და ყველგან ქმნიდა მაღალპროფესიულ კოლეგიალურ გარემოს, სადაგ ატმოსფეროს ახალი თაობების აღზრდისა და განვითარებისათვის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საორგანიზაციო წამოწყება ქართველოლოგიურ კვლევათა წარმატებისათვის იყო გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერ ჩამოყალიბებული ძველი ქართული წერილობითი წყაროების შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია „ორიონი“, რომელიც მოკლე ხანში კვალიფიციური კადრების მნიშვნელოვან სამჭედლოდ იქცა. ფრიად სამწუხაროა, რომ ქალბატონი მზექალას ეს შესანიშნავი წამოწყება, არაერთი სხვა ფასეულობის მსგავსად, უნივერსიტეტის ე. წ. რეფორმას ემსხვერპლა...

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ, ყველაფერთან ერთად, აკადემიკოსი მზექალა შანიძე მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებისა და პასუხისმგებლობის მატარებელი პიროვნებაა. მიუხედავად სამეცნიერო-აკადემიურ საქმეთაგან დიდი უცალობისა, იგი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო ცხოვრებაში და თავისი პირდაპირი და მართალი პოზიციით მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ურთულესი საზოგადოებრივი პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის ჩვენს ქვეყანაში. ამისი დასტურია მისი ხანგრძლივი აქტიური მოღვაწეობა საქართველოს ქალთა საბჭოში, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — უზენაეს საბჭოში. უთუოდ ყველას ახსოვს, რაოდენ რთული და მგრძნობიარე იყო ის დრო, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში ქალბატონ მზექალას უწევდა თავისი სადეპუტატო მოვალეობის აღსრულება. მაგრამ ამ წვლილის გაღება მეცნიერის მხრიდან ნამდვილად ღირდა, რადგან სწორედ იმ მღელვარე დღეებში ეყრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას საფუძველი. ამიტომაც არა მხოლოდ ქალბატონი მზექალას მდიდარ ბიოგრაფიას, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლებს ამშვენებს მეცნიერის ხელმოწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე 1991 წლის 9 აპრილს — ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

სინას მთაზე 1996 წელი.

განსაკუთრებულია ქალბატონი მზექალას წვლილი როგორც პედაგოგისა, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ორგანიზატორისა. როგორც ითქვა, მეცნიერი სხვადასხვა დროს იყო უნივერსიტეტის, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ჯგუფებისა და განყოფილებების ხელმძღვანელი და ყველგან ქმნიდა მაღალპროფესიულ კოლეგიალურ გარემოს, სადაგ ატმოსფეროს ახალი თაობების აღზრდისა და განვითარებისათვის.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ გამოჩენილი მკვლევარი კვლავაც აქტიურად არის ჩაბმული ქვეყნის მეცნიერულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი სამეცნიერო აქტივობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სწორედ მკვლევრის შემოქმედებითი ცხოვრების უახლეს პერიოდს ეკუთვნის. აკადემიკოსი მზექალა შანიძე ამითაც ამართლებს დიდი მამის გენეტიკურ მემკვიდრეობას — იგი კიდევ ერთხელ იძლევა არა მხოლოდ ასაკობრივი, არამედ მეცნიერული დღეგრძელობის მაგალითს...

კვლავაც მრავალჟამიერ ეღვაწოს მას!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

◎ ალიარება

ევროკავშირი 2015 წლის ჟურნალისტიკის პრიზის გამარჯვებულებს ასახელებს

უკვე მეოთხე წელიწადია, ევროკავშირი ყოველწლიურად საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომებისთვის ჟურნალისტურ კონკურსს აცხადებს და გამარჯვებულებს აჯილდოებს.

ევროკავშირის ეს პრიზი, 2012 წელს დაწესდა რომელიც, პროფესიული, მიუკერძოებელი და ინფორმაციული ჟურნალისტიკის მხარდასაჭერად გაიცემა. 2015 წლის კონკურსში ჟურნალისტთა ყველაზე დიდმა რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა, დაახლოებით 150-მა ჟურნალისტმა შემოიტანა განაცხადი 6 სხვადასხვა კატეგორიაში, რაც საქართველოში მრავალფეროვანი მედიაგარემოს არსებობას ადასტურებს.

ღონისძიებაზე, რომელიც თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა, ექვსი კატეგორიიდან ხუთ გამარჯვებულს პრიზი ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა გადასცა, ხოლო მეექვსე კატეგორიის — მშვიდობის ჟურნალისტიკა — პრიზი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ ერიკ ჰოეგმა გადასცა.

საუკეთესო საგამომძიებლო სტატია ბეჭდვით ან ონლაინმედიაში გამარჯვებული გახდა ზურაბ მარდიაშვილი „სიღარიბის შვილები“ (გამოქვეყნებულია ჟურნალ „ლიბერალში“). საუკეთესო საგამოძიებო ტელე/რადიო სიუჟეტი

გამარჯვებულია ლია ტოკლიკიშვილი (თანაავტორი მაია გოგოლაძე) ფილმისთვის „ოქროსთვის შეწირული ქალაქი“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი).

საუკეთესო ონლაინ ან ბეჭდური ბლოგი, რომელიც ხელს უწყობს ცოცხალ, დაბალანსებულ, სამართლიან და პლურალისტურ დებატებს მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ საკითხებზე, რასაც შეუძლია არაპირდაპირ წარმოაჩინოს ევროკავშირის ფასეულობები. ამ კატეგორიაში ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა ანუნა ბუკია — „პაციენტის დღიური“ (გამოქვეყნდა www.liberali.ge).

ნომინაციაში ყველაზე ინფორმატიული ონლაინმედიასაშუალება (ახალი ამბების სააგენტო, ვებპორტალი, ონლაინგაზეთი, ონლაინჟურნალი) გამარჯვებულია www.chai-khana.ge

საუკეთესო დოკუმენტური ფოტო, რომელიც ევროკავშირის ფასეულობებს ასახავს (ადამიანის უფლებებს, მათ შორის უმცირესობათა უფლებებს, სოციალურ სამართლიანობას, ადამიანური ღირსების პატივისცემას, სიტყვის თავისუფლებას, დემოკრატიას, თანასწორობასა და კანონის უზენაესობას) დარო სულაკაურის ფოტოს — „ნაადრევი ქორწინება“ ჟიურის ყველაზე მეტი ხმა ერგო.

საუკეთესო ნაშრომი ბეჭდურ, აუდიოვიზუალურ ან ონლაინმედიაში, რომელიც შეეხება კონფლიქტების თემას (წარმოდგენილია ევროკავშირის სადამკვირველო მისიის მიერ IWPR-თან თანამშრომლობით) გამარჯვებული გახდა ნინო ჩიფჩიური -ექიმები კონფლიქტის რეგიონში ჯანმრთელობის ხიდებს აშენებენ (women. peace.net).

ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში ყოველწლიურად პრესის საერთაშორისო დღეს, 3 მაისს ცხადდება ხოლმე. როგორც იანოშ ჰერმანმა აღნიშნა, „თავისუფალი და მაღალი ხარისხის მედიის არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში. ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება საქართველოში.“

თეა მოსია

სს „სხმულის“ სამეთვალყურეო საბჭოს

განცხადება

2016 წლის 21 თებერვალს, 12 სთ-ზე, ქ. თბილისში, მარნეულის ქ. 44-ში, სს „სხმულის“ კუთვნილ შენობაში შედგება „სხმულის“ საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების არჩევა.

სს „სხმულის“ სამეთვალყურეო საბჭო

◎ თემიდა

ზოგს რომ ჰგონია, ერბო ქონია...

ანუ რა ხდება „რუსთავი-2“-ის საქმის გარშემო და ამჟამად რა სტადიაზეა იგი?

საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს ჰგონია, რომ „რუსთავი-2“-ის გარშემო სასამართლო განხილვები დასრულდა და ამ ბრძოლაში ტელეკომპანიამ გაიმარჯვა, თითქოს სიმართლე ნიკა გვარამიას მხარესაა...

სინამდვილეში კი დავა გრძელდება, რამაც, შესაძლოა, მთელი მიმდინარე წლის განმავლობაში არაერთხელ მიიპყროს საზოგადოების ყურადღება. როგორც ქიბარ ხალვაშის ადვოკატი **პაატა სალია** ამბობს, პროცესები სამართლებრივ ჩარჩოებში მიმდინარეობს და ქიბარ ხალვაშიც დავის დასრულებას მშვიდად ელოდება. **„რაც ახლა ხდება, ჩვეულებრივი მუშაპროცესია, ამდენად აჟიოტაჟი, რომელსაც „რუსთავი-2“ ეწევა, სულაც არ არის საჭირო. ბატონი ქიბარიც აცნობიერებს, რომ სენსიტიური, ძალიან ფაქიზი საკითხია, როცა საქმე მედიასა და მაუწყებლობას ეხება, მაგრამ ქონების დათმობასაც არ აპირებს. ის კმაყოფილია იმით, რაც ქართული მართლმსაჯულების სისტემაში ხდება და მოვლენებსაც თვალს მშვიდად ადევნებს“,** — აღნიშნა ადვოკატმა.



რაც შეეხება საქმის მიმდინარეობას, პაატა სალიას განცხადებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. **„13 იანვარს ჩაგვბარდა საჩივრები, ხოლო 27 იანვარს უნდა წარვადგინოთ წერილობით მისაგებელი საჩივარი. ამის შემდეგ დაინიშნება სასამართლო განხილვის თარიღი“,** — განაცხადა სალიამ ჩვენთან საუბარში.

ვინაიდან, სააპელაციო სასამართლომ ეს საქმე რთული კატეგორიის დავად მიიჩნია, საქმის წარმოება დაახლოებით 5 თვეს გაგრძელდა. მოსალოდნელია, რომ ამის შემდეგ დავა უკვე უმაღლეს ინსტანციაში — უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდეს, რაც თავის მხრივ 3-4 თვეს მაინც გასტანს. ანუ, „რუთავი-2“-ის გარშემო ატეხილი დავა და აჟიოტაჟი, შესაძლოა, 2017 წლამდეც გაგრძელდეს...

ასე რომ, ერთი ფრთიანი ფრაზისა არ იმუს, ზოგს რომ ჰგონია, ერბო ძონია, ისე არ არის საძმე...

ნია ფიფია

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თქმაზები

● ეკონომიკაში რა წინსვლაზე საუბრობენ, როცა საქართველოს მოსახლეობის 80% ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვალებში ირჩობა! რა ეკონომიკურ რეფორმებზეა საუბარი, როდესაც მოვალეები ამ ყოვლად საზიზღარ მევახშეებს უზარმაზარ პროცენტებს უხდიან! რა ბიზნესის აღორძინებაზე და განვითარებაზეა საუბარი, როცა კრედიტს ვერ აიღებ?

ამ დროს პრემიერის „ბიზნესმენებთან“ შეხვედრის შემდეგ გამოდის ბანკების ასოციაციის ხელმძღვანელი და მოსახლეობის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას მოითხოვს!

თუ პრემიერის წინადადება ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შესახებ ფიზიკურ პირებზეც გავრცელდება და არა მარტო გადასახადების დამმალავ და სხვა მაქინაციებით გამდიდრებულ „ბეზლესმენებზე“, მაშინ ბოლომდე დავეთანხმები მის ყველა წინადადებას რეფორმების ახალი ტალღის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლიათ ხალხი პირდაპირ ქუჩაში დახვრიტონ!

● ქართველმა ვაზი გაჩეხა და ვაზელინი დათესა!!!

● როცა მესმის ფრაზები: რეფორმები ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს, მეტი გამჭვირვალობა და დემოკრატია, მეტი ინტეგრაცია საერთაშორისო სტრუქტურებთან დ.ა.შ. ისეთი შეგრძნება მიჩნდება, დედაჩემი რომ მეტყოდა: — მოიცადე, მოვა მამაშენი და ის დაგელაპარაკებაო!

● საგანელიძეს მერობა უნდაო... ელისაშვილსაც ... ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?

არ გინდოდათ რძე და ყველი?! — ჰოდა, გყავდეთ იან კელი.

● დამშვიდდით, ხალხო! „მაიკო“ ასათიანი ცოცხალია, სომხებს ევროვიზიაზე „ყვავილების ქვეყანა“ არ გააქვთ, კეზერაშვილს ოპერა ყვარებია და კესარია დასაქმდა.

ახლა მთავარია, რა ვუშველოთ ნახევარ მილიონ გაუთხოვარ ქალს!!! (ჩემი იმედი არ გქონდეთ).

● ლაშა ბაქრაძე უფრო მაგარია, ლაშა ტუღუში თუ ლაშა ბუღაძე?! მე მგონი მაინც გლაშა (გლაფირა) აგურცოვა — У НЕЁ КОЛЕНКИ ОЧЕНЬ КРАСИВОИ ФОРМЬ!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სირიაში პანკისის ხეობის კიდევ ორი ყოფილი მცხოვრები დაიღუპა

რუსეთის საზღვარზე მდებარე ხეობა უპირატესად ეთნიკური ჩეჩნებითაა დასახლებული

ბრძოლებში ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული დაჯგუფების მხარეზე საქართველოს პანკისის ხეობის კიდევ ორი ყოფილი მცხოვრები დაიღუპა — 24 წლის რაზმან ფარსელიძე სოფელ ბირკიანიდან და 22 წლის მუჰამედ თურქოშვილი სოფელ ომალოდან.

ამ დროს ფარეულიძე იყო იმავე სოფლიდან, საიდანაც ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი გავლენიანი ლიდერი, 29 წლის თარხან ბათირაშვილი, რომელიც ცნობილია ფსევდონიმით „უმარ ალ-შიშანი“, აგრეთვე როგორც „რუხი გენერალი“. ფარეულიძე, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, სირიაში 1 წლის წინათ გაემგზავრა, მაშინ ის იყო თელავის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

რაც შეეხება თურქოშვილს, ინფორმაციის თანახმად, რომელიც მივიღეთ მისი ნათესავებისაგან, ის მოხვდა ისლამის სახელმწიფოს რიგებში თურქეთიდან, სადაც ცხოვრობდა უკანასკნელი წლების განმავლობაში თავის მშობლებთან ერთად. მშობლებს თურქეთის მოქალაქეობა აქვთ.

რუსეთის საზღვართან არსებული პანკისის ხეობა უპირატესად დასახლებულია ეთნიკური ჩეჩნებით, რომლებსაც საქართველოში „ქისტებს“ უწოდებენ. დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, 50-დან 100-მდე ქისტი მონაწილეობს ბრძოლებში სირიაში. წინასწარი მონაცემებით, სირიაში 2014 წლიდან უკვე დაიღუპა საქართველოს 14 მოქალაქე, 12 მათგანი — პანკისის ხეობიდანაა.

„მიღებული ზომები“

როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თავის კომენტარებში განაცხადა, ხელისუფლების მიერ ტერორისტული საქმიანობის შესახებ კანონის გამკაცრების შემდეგ, საქართველოში „შემცირდა პრობლემები“, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნიდან იმ ადამიანების გადინებასთან, ვინც აწარმოებენ საბრძოლო მოქმედებებს უცხოეთის სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

შარშან საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ზომები ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ შეიცავს ანტიტერორისტული კანონმდებლობის გაფართოებას, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანას, ესე იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებას საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობისათვის და ადამიანების დაქირავებისათვის მათი ტერორისტულ ორგანიზაციებში შეყვანის მიზნით. ასევე შეიქმნა ახალი ანტიტერორისტული სტრუქტურები და ახალი საუწყებათაშორისო მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს კონტრტერორისტული ოპერაციების განხორციელების უზრუნველყოფას. საერთაშორისო მეთვალყურეთა შეფასებით, გაიზარდა შესაძლებლობანი და საქართველოს ხელისუფლების უნარი — აღმოაჩინოს ტერორიზმთან დაკავშირებული ინციდენტები, თავიდან აიცილოს ისინი და მოახდინოს მათზე რეაგირება.

მიუხედავად ამისა, შარშან ივნისში გამოქვეყნებულ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ მოხსენებაში ტერორიზმთან დაკავშირებით ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 2014 წელს რჩებოდა ამერიკის შეერთებული შტატების „ძლიერ პარტნიორად“ ტერორიზმთან ბრძოლაში, ქვეყანა მაინც რჩება საერთაშორისო ტერორიზმის წყაროდ, აგრეთვე აღიარებულ ქვეყნად ექსტრემისტებისათვის.

კავკასიის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის ხელმძღვანელი მამუკა არეშიძე იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ უკანასკნელ ხანებში მიღებული ანტიტერორისტული ზომები არის „ეფექტიანი“ და მოჰყავს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში პანკისის ხეობიდან ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებიდან, არც ერთი კაცი არ წასულა სირიაში ან ერაყში ბრძოლისათვის ისლამური სახელმწიფოს რიგებში.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ციურიხში ლავროვისა და კერის შეხვედრის წინ რუსული დროშა თავდაყირა გამოკიდეს

შეცდომა, რომელიც დაუშვეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის შეხვედრის მზადების დროს, გაასწორეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის წევრების ჩამოსვლამდე ერთ-ერთი რუსი ოპერატორის წყალობით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაიგეს, თუ როგორ ცხოვრობს ეგვიპტე რუსი ტურისტების გარეშე

ბევრ სასტუმროში დატვირთვა 10 პროცენტამდე დაეცა. ხურგადში რუსები შეცვალეს ჩინელებმა, გერმანელებმა, დანიელებმა, შვედებმა, ბალტიისპირელებმა, ბელარუსებმა და უკრაინელებმა. ეგვიპტემდე იშვიათად ჩასულ რუსეთის მოქალაქეებს განსაკუთრებულად ხვდებიან, საუცხოო კატეგორიების ნომრებით, ხილით ნომერში, იაფი ექსკურსიებით.

აშშ-ის მთავრობამ პენტაგონის მუშაობა ავღანეთის აღდგენისათვის ნაკლებეფექტიანად მიიჩნია

სახელმწიფო ინსპექტორებმა სამთავრობო სააგენტო „სიკარიდან“ ისაუბრეს აზიის რესპუბლიკაში იშვიათი იტალიური თხების შეყვანის ინიციატივის შესახებ საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის და გაზის გასამართი სადგურის მშენებლობაზე 43 მილიონ დოლარად. პენტაგონში საპასუხოდ განაცხადეს, რომ შემმოწმებლები ზრდიან ხარჯების ციფრებს.

ბრაზილია მოიცვა ზიკას ვირუსის უძლიერესმა ეპიდემიამ - ათასობით ბავშვი პატარა თავით დაიბადა

ქვეყანაში უკვე დააფიქსირეს ვირუსისგან 5 ახალშობილის დაღუპვის შემთხვევა. მედიკოსები განგაშს ტეხენ მეზობელ კოლუმბიაშიც, სადაც ვირუსით დაავადებულთა შემთხვევები აჭარბებს 13 ათასს. ბოლივიაში კი ვირუსი პირველად ამ ცოტა ხნის წინათ აღმოუჩინეს ფეხმძიმე ქალს.

კიევმა ფორუმზე დავოსში განაცხადა ყირიმის დაბრუნების პროცესის სწრაფი დაწყების შესახებ

უკრაინის გეგმების შესახებ, დაიწყოს ნახევარკუნძულის დაბრუნება 2016 წელს, განაცხადა უკრაინის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ნატალია ერესკომ. უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კიევი აპირებს შექმნას დიპლომატიური ფორუმი ჟენევის ფორმატის მსგავსად, რომელშიც შედიოდნენ რუსეთი, უკრაინა, ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები.

მოლდოვის ახალმა მთავრობამ მასშტაბური პროტესტების ფონზე დაიდო ფიცი

პრემიერ პაველ ფილიპის კანდიდატურის მოწონებამ პარლამენტის მიერ კიშინიოვის ცენტრში დიდი პროტესტების პროვოცირება გამოიწვია, თუმცა, დააჩქარა ბიუროკრატიული პროცედურები. მთავრობა თავისი მოვალეობის შესრულებას დაიწყებს ფიცის მიღების მომენტიდან, და ეს უკვე მოხდა ღამით — სახელმწიფო რეზიდენციის დახურულ კარს მიღმა.

კონკრეტული შეტყობინება შესყიდვის შესახებ პრეკვალიფიკაციისთვის მოწვევა

საქართველო

აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტი

E-60ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური ჩუმათელეთის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები ლოტი 1 (კმ 0+000"კმ 5+800)

ლოტი 2 (კმ 5+800"კმ 14+066)

EWHCIP/CW/ICB-01
სესხის/კრედიტის №: არ არის განსაზღვრული

პრეკვალიფიკაციისთვის მოწვევა შეესაბამება შესყიდვის ზოგად შეტყობინებას აღნიშნული პროექტისთვის, რომელიც გამოცემულია ელექტრონულად 2015 წლის 28 ივლისის ბიზნესის განვითარების No. WB3467-07/15.

საქართველომ მიიღო კრედიტი **რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისგან (IBRD)** და **ევროპის საინვესტიციო ბანკისგან აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული კრედიტის ნაწილი მოხმარდება კონტრაქტების – EWHCIP/CW/ICB-01 ლოტი 1 (კმ 0+000"კმ 5+800) და ლოტი 2 (კმ 5+800"კმ14+066) დაფინანსებას. პრეკვალიფიკაციისთვის აპლიკაციები შეიძლება მომზადდეს როგორც ერთი რომელიმე,ასევე ორივე ლოტისთვის/კონტრაქტისთვის ერთდროულად. ლოტი 1 დაფინანსდება ევროპის საინვესტიციო ბანკის და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით და უფლებამოსილების წესები (ლოტი 1-ისთვის) განისაზღვრება ევროპის საინვესტიციო ბანკის პოლიტიკის საფუძველზე. ლოტი 2 დაფინანსდება მსოფლიო ბანკის (IBRD) და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით და უფლებამოსილების წესები განისაზღვრება მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად. პრეკვალიფიკაცია და შემდგომი შესყიდვა ორივე ლოტისთვის განხორციელდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების მიხედვით. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს კონტრაქტორებისა და/ან ფირმების პრეკვალიფიკაციას **E-60ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური ჩუმათელეთის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებისთვის ლოტი 1 (კმ 0+000"კმ 5+800) და ლოტი 2 (კმ 5+800"კმ 14+066).** მოსალოდნელია, რომ სატენდერო მოწვევა მომზადდება **2016 წლის მაისში.**

ლოტი 2-ისთვის პრეკვალიფიკაცია განხორციელდება პრეკვალიფიკაციის პროცედურების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: შესყიდვები IBRD სესხების და IDA კრედიტების ფარგლებში, იანვარი 2011 წელი (განახლებული 2014 წლის ივლისში), დიაა ტენდერის მონაწილეებისთვის უფლებამოსილების მქონე ქვეყნებიდან, როგორც განსაზღვრულია სახელმძღვანელოში. ლოტის 1-ისთვის აღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილების არმქონეა ქვეყანა ევროკავშირის მიერ ფინანსური სანქციების გამოყენების შემთხვევაში ევროკავშირის ხელშეკრულების V ნაწილის მეორე თავის ან ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 215 მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებლად ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭოს მიერ გაეროს წესდების 41-ე მუხლის შესაბამისად დაწესებული ფინანსური სანქციების შემთხვევაში. სია შესაძლებელია იხილოთ: http://eeas.europa.eu/cfsp/sanctions/docs/measures_en.pdf ."

დაინტერესებულ უფლებამოსილ აპლიკანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და პრეკვალიფიკაციის დოკუმენტის გაცნობა შეუძლიათ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (ქვემოთ იხილეთ მისამართი) 10 საათიდან 17 საათამდე. დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ მიიღონ პრეკვალიფიკაციისთვის სრული დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე უფასოდ (ა) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში.

აპლიკანტის წარმომადგენელს მყარ დისკზე ჩაწერილი დოკუმენტაცია გადაეცემა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფისში სამუშაო საათების დროს ან დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონულად. აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი განცხადება შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georoad.ge და მოთხოვნის შემდეგ დოკუმენტაცია გადაეგზავნება ელექტრონულად იმეილზე. თუმცა ამ შემთხვევაში ***თავად აპლიკანტს ეკისრება დოკუმენტაციის წარმატებით მიღების პასუხისმგებლობა.***

აპლიკაციები პრეკვალიფიკაციისთვის წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქული კონვერტებით ქვემოთ მითითებულ მისამართზე **2016 წლის 14 მარტის 17 საათისთვის ადგილობრივი დროით** და უნდა იქნას გარკვევით მითითებული **„პრეკვალიფიკაციისთვის აპლიკაცია - 60ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური ჩუმათელეთის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებისთვის ლოტი 1 (კმ 0+000"კმ 5+800) ლოტი 2 (კმ 5+800"კმ 14+066) აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში პრეკვალიფიკაციის მოწვევა EWHCIP/CW/ICB-01".**

აპლიკანტებს არ შეუძლიათ აპლიკაციების წარმოდგენა ელექტრონულად.

დამქირავებლის მისამართია მხოლოდ აპლიკაციის წარმოსადგენად:
ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ნუგზარ გასვიანი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ქალაქი: თბილისი
საფოსტო კოდი: 0160
ტელეფონი: (+995 32) 237 05 08
ფაქსი: (+995 32) 237 66 03
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

SPECIFIC PROCUREMENT NOTICE
Invitation for Prequalification

Georgia

East–West Highway Corridor Improvement Project Construction works for the E-60 Highway Section from Zemo Osiauri to Chumateleti

Lot1 (Km 0+000~Km 5+800)

Lot2 (Km 5+800~Km14+066)
EWHCIP/CW/ICB-01
Loan/Credit No. TBD

This invitation for prequalification follows the general procurement notice for this project that appeared in *Development* Business No. WB3467-07/15 of 28 July 2015 on-line.

Georgia has received a credit from the **International Bank for Reconstruction and Development (IBRD)** and from **European Investment Bank** toward the cost of the **East-West Highway Corridor Improvement Project**, and it intends to apply part of the proceeds of this credit to payments under the contracts for **EWHCIP/CW/ICB-01 Lot1 (Km 0+000~Km 5+800) and Lot2 (Km 5+800~Km14+066).** Applications may be made for prequalification for either of the Contracts/Lots or both of them combined. **Lot 1** will be jointly financed by the European Investment Bank and Government of Georgia and eligibility rules (for Lot 1) will be governed by EIB's policy. **Lot 2** will be jointly financed by the World Bank (IBRD) and Government of Georgia and eligibility rules (for Lot 2) will be in accordance with the World Bank's policy. Prequalification and subsequent Bidding for both lots will be governed by the World Bank's procurement procedures. The **Roads Department** of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia intends to prequalify contractors and/or firms for **Construction works for the E-60 Highway Section from Zemo Osiauri to Chumateleti Lot1 (Km 0+000~Km 5+800) and Lot2 (Km 5+800~Km14+066).** It is expected that invitation for bid will be made in **May, 2016**.

Prequalification will be conducted through prequalification procedures specified in the World Bank's *Guidelines: Procurement of Goods, Works, and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits and Grants by the World Bank Borrowers,* January 2011 (revised July 2014), and is open to all bidders from eligible source countries, as defined in the guidelines for **Lot 2;** and subject to compliance with the requirement of not being ineligible due to "financial sanctions imposed by the European Union pursuant to Chapter 2 of Title V of the Treaty on European Union or article 215 of the Treaty on the Functioning of the European Union, either autonomously or pursuant to the financial sanctions decided by the United Nations Security Council on the basis of article 41 of the UN Charter, for **Lot 1**. The list can be consulted at http://eeas.europa.eu/cfsp/sanctions/docs/measures_en.pdf ."

Interested eligible Applicants may obtain further information from and inspect the prequalification document at the **Roads Department of the MRDI** (address below) from 10:00am to 17:00pm. A complete set of the prequalification document in ***English Language*** may be obtained by interested Applicants free of charge (a) on the submission of a written application to the address below.

The document will be provided to the representative of an Applicant on a CD at the office of Roads Department of Georgia during the office hours or alternatively the PQD can be obtained electronically. The applicants may submit a written application described above to the following e-mail address: info@georoad.ge and upon request, the PQD will be sent to the applicant electronically, through e-mail; but in case of electronic submission, **all responsibility of successful receipt of the documents lies solely with the applicant.**

Applications for prequalification should be submitted in sealed envelopes, delivered to the address below by ***14th March 2016 17:00 Local Time*** and be clearly marked ***"Application to Prequalify for Construction works for the E-60 Highway Section from Zemo Osiauri to Chumateleti Lot1 (Km 0+000~Km 5+800) Lot2 (Km 5+800~Km14+066) Under the East–West Highway Corridor Improvement Project Invitation for Prequalification No.: EWHCIP/CW/ICB-01."***

Applicants **shall not** have the option of submitting their Applications electronically.

For **application submission purposes only,** the Employer's address is:
12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Attention: Mr. Nugzar Gasviani
Street Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
City: Tbilisi
Postal code: 0160
Country: Georgia
Telephone: (+995 32) 237 05 08
Facsimile number: (+995 32) 237 66 03
Electronic mail address: info@georoad.ge
Web-page: www.georoad.ge

◎ ამერ-იმერი

„სინათლის ქალაქი" ანგარიშს გვაბარებს

„სინათლის ქალაქის" ხელმძღვანელმა თორნიკე კიზირიამ უწყების მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ, ერთი წლის ანგარიში წარადგინა, რომელსაც თბილისის მთავრობის წევრები, საკრებულოს დეპუტატები და დარგის სპეციალისტები ესწრებოდნენ. თორნიკე კიზირიამ „სინათლის ქალაქის" მიერ მიმდინარე და უკვე დასრულებულ პროექტებზე დეტალურად ისაუბრა.

კიზირიამ უწყების მიერ განხორციელებული მასშტაბური პროექტებიდან, სულ ახლახან დასრულებული თბილისის ანძის განათების შესახებ ისაუბრა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა დედაქალაქის მასშტაბით გარე განათების ქსელის განვითარებაზე. თორნიკე კიზირიას თქმით, გასულ წელს თბილისში გარე განათების ქსელი ავჭალაში, დიდ დიღომსა და ივერთუბანში მოეწყო, სადაც განათება ამ დრომდე არ არსებობდა. გარე განათების ქსელის განვითარება მიმდინარე წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

ქალაქის მასშტაბით გარე განათების ქსელის განვითარების სამუშაოების გარდა, „სინათლის ქალაქის" დირექტორმა 2015 წელს უწყებაში განათების ქსელის ელექტრონული პასპორტიზაციის დანერგვასა და პროგრამული მართვის ფარის განახლების შესახებაც ისაუბრა. მისი გარე განათების ქსელის ელექტრონული პასპორტიზაცია შესაძლებლობას იძლევა, რომ თბილისში არსებული სანათი წერტილების შესახებ კომპანიას ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს. ხოლო პროგრამული მართვის ფარის განახლება, გათიშვებისა და ავარიების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად მიღებას უზრუნველყოფს.

თორნიკე კიზირიამ „სინათლის ქალაქის" მხატვრული მინათების სამსახურის შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ 2015 წელს სამსახურმა 20-მდე ობიექტზე მხატვრული მინათება დაამონტაჟა და 19 სკვერში გარე განათება აღადგინა.

თორნიკე კიზირიამ სტუმრებსა და მედიის წარმომადგენლებს „სინათლის ქალაქის" მიერ დაგეგმილი სამომავლო პროექტებიც გააცნო. მან ყურადღება დედაქალაქის ენერგოდამზოგავ განათებაზე გადასვლაზე გაამახვილა. თბილისის მერია და „სინათლის ქალაქი" უმნიშვნელოვანეს პროექტზე მუშაობენ, რაც თბილისში არსებული სანათების დიოდური, ე.წ. LED სანათებით ჩანაცვლებას ითვალისწინებს. მას შემდეგ, რაც მოხდება გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა, თბილისი მთლიანად დიოდური სანათებით განათდება, რაც დედაქალაქს ელექტროენერგიის 60–70 პროცენტიან ეკონომიას მოუტანს.

მედიანიუსი

◎ წყალბურთი

პირველი გამარჯვება ევროპის ჩემპიონატზე

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე პირველი ისტორიული გამარჯვება იზეიმა. „ჯვაროსნებმა“ წარმატებას ბელგრადში მიაღწიეს, სადაც თურქეთს 12:11 (5:2, 3:2, 3:3, 1:4) სძლიეს.

თავიდანვე ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებს ამ შეხვედრაში წინა თამაშში გაძევებული იოვან პოპოვიჩი ვერ ხელმძღვანელობდა, მის მაგივრად კი გუნდს ვლადიმერ ისელიძე გაუძღვა.

ქართველებმა ენერგიულად დაიწყეს და მატჩის განმავლობაში ექვსბურთიანი უპირატესობითაც (10:4) კი დაწინაურდნენ, თუმცა, დარჩენილი დრო 2:7 დათმეს და მოგება გაჭირვებით შეინარჩუნეს.

საქართველოს ნაკრების რიგებში ყველაზე შედეგიანი მიხეილ ბაღათურია იყო 3 გოლით, 2-ჯერ თავი გუნდის კაპიტანმა ზურაბ რურუამ, დამირ ცრეპულიამ და მარკო ელეზმა გამოიჩინეს, ხოლო თითოჯერ ბექა ქავთარაძემ, მარკო ელაჩამ და კონსტანტინე გეგელაშვილმა ივაუკაცეს.

ამ გამარჯვების წყალობით საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მე-13 ადგილისთვის ბრძოლის უფლება მიიღო. დღეს თბილისის დროით 13:30 საათზე ქართველი წყალბურთელები სლოვაკებს გაეჯიბრებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფორუმის წინ

ორი სპორტსმენით - მეორე თამაშებზე

12 თებერვალს ლილეჰამერში საზეიმოდ გაიხსნება ზამთრის მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები. ნორვეგიის ამ ქალაქმა 22 წლის წინათ ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებს უკვე უმასპინძლა (სწორედ იმ თამაშებზე შედგა დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის დებიუტი), ამჯერად კი ლილეჰამერი მსოფლიოს 70-მდე ქვეყნის 1000-ზე მეტი ახალგაზრდა სპორტსმენის მისალებად ემზადება. ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან ზამთრის სპორტის 15 სახეობაში. 10 ოლიმპიური დღის განმავლობაში გათამაშდება მედლების 70 კომპლექტი.

საქართველო ამ თამაშებზე (ისევე, როგორც 4 წლის წინათ ავსტრიულ ინსბრუკში გამართულ პირველ ამგვარ თამაშებზე) ორი სპორტსმენით წარსდგება: მოციგავეთა ტურნირზე გამოვა ლაშა ფერაძე, სამთო თხილამურობის ორ დისციპლინაში კი ბესარიონ ჯაფარიძე იასპარეზებს. მოციგავეთა შეჯიბრება 14 თებერვალს ჩატარდება, ხოლო ჯაფარიძე სტარტს 16 თებერვალს გიგანტურ სლალომში აიღებს, სამი დღის შემდეგ კი სლალომისტთა ტურნირში ჩაებმება.

საქართველოს ექვსკაციანი დელეგაცია სკანდინავიაში 10 თებერვალს გაემგზავრება. სპორტსმენებთან ერთად ოლიმპიურ გუნდში იქნებიან ფელიქს ქუმარიტაშვილი (მწვრთნელი, ციგაობა), იასონ აბრამაშვილი (მწვრთნელი, სამთო თხილამურობა) და გიორგი ესაკია (მისიის ხელმძღვანელი ოლიმპიურ სოფელში). დელეგაციას უხელმძღვანელებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაბარელი.

კოგა კოგახიძე

◎ ადამიანი დროში

მართლაც - ამირანი...

კავკასიონზე შეფენილმა ზემო რაჭამ ფიზიკური აღნაგობით გამორჩეული არაერთი ათლეტით გაამდიდრა დედასამშობლო, მაგრამ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, საკავშირო თასის მფლობელის, ჩემპიონთა თასის გათამაშების გამარჯვებულისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელის ამირან სხიერელის სახელი მთის ამაყ შვილთა თანავარსკვლავედშიც კი გამორჩეულად კაშკაშებს და თანამემამულეთ იმედით გვავსებს, რომ „კიდევაც დაიზრდებიან“...

ეს, ასე ვთქვათ, ზოგადად, უფრო კონკრეტულად კი, სახელოვანი კალათბურთელისა და დიდებული პიროვნების პორტრეტის სრულყოფილად წარმოსაჩენად, მოდით, მის ძვირფას ოჯახსაც შევაწიოთ ორიოდე დამსახურებული თბილი სიტყვა.

მართლაც რომ გმირი დედა ბრძანდებოდა ქალბატონი ლენა მაქარაშვილი, რომელმაც, ნაადრევად დაქვრივებულმა, ღირსეულად ზიდა ცალუღელა ჭაპანი და მამულს ობლობაში გაზრდილი სამი საფიცარი შვილით უერთგულა. ვისაც მაშინდელი ონი და იქაური საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორია ახსოვს, თვალწინ წარმოუდგება სამედიცინო დარგში ჩაფერფლილი, სანდომიანი სახის თმაშევერცხლილი, თითქოს ქართული მწერლობის კლასიკოსთა უკვდავი ნაწარმოებებიდან გამოხმობილი მანდილოსნის სახება, ირგვლივ კდემამოსილებას რომ აფრქვევდა.

რაიონში შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა მეგობრობისთვის დაბადებული ვაჟკაცი, თანამდებობით სპორტსკოლის დირექტორი, დე ფაქტო კი კაცთმოყვარეობის სიმბოლო თემურ სხიერელი, რომელიც 1991 წლის 29 აპრილის დამანგრეველმა მიწისძვრამ შეიწირა. იგი თანამებრძოლ-პატრიოტებთან ერთად იმ დღეს ოსებთან პირობით საზღვარზე სამორიგეოდ მიდიოდა. დიახ, ძმათამკვლელმა მოვლენებმა ზვარაკად ამ უღალატო ქართველის სიცოცხლე მოითხოვა და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება.



რაც შეეხება ნარგიზა სხიერელს, მან დიდების შარავანდედი მაესტრო გიგა ჯაფარიძის მიერ ონის სახალხო თეატრის სცენაზე ხორცშესხმულ საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლში შესრულებული ქეთევან წამებულის როლის ბრწყინვალედ შესრულებით დაიდგა.

აი, ასეთ წიაღში იძერწებოდა აწ უკვე 75 წლის „გრიგორიჩის“ სულიერი სამყარო. ტკბილ სიბერესა და დღეგრძელობას ვუსურვებთ მონაგრით დამშვენებულ იუბილარს.

გია პლატონიშვილი

◎ რა დროს სკანდალია!

კახა ცხადაძე: მე არ მივდივარ, თუ სფფ-ს კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა უნდა, თქვას!

გუშინ „მიხეილ მესხის“ სტადიონის მედიაცენტრში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ პრესკონფერენცია გამართა, სადაც აღნიშნა, რომ მასა და ფეხბურთის ფედერაციას შორის არსებული დაძაბულობის მიზეზი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრია.

ცხადაძის თქმით, სწორედ ტარიელ ხეჩიკაშვილს სურს ნაკრებიდან მისი გაშვება და სხვა მწვრთნელის მოყვანა. მისივე განცხადებით, ახლა ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტია, გაგრძელებს მასთან თანამშრომლობას თუ ცალმხრივად გაწყვეტს კონტრაქტს.

„ჩემი შეთავაზება ფეხბურთის ფედერაციის მიმართ არის ის, რომ დავიკლოთ ხელფასის 25 პროცენტი, შესარჩევ ეტაპზე მესამე ადგილზე გასვლის შემთხვევაში კი ეს თანხა უკან დამიბრუნდეს. ამის შესახებ ვესაუბრე ლევან კობიაშვილსაც.

მე პირადად ვრჩები გუნდში, არსად არ მივდივარ და ახლა უკვე ფედერაციის გადასაწყვეტია, თუ რას მოიმოქმედებს. უმჯობესია, გადაწყვეტილება ფედერაციამ მალე მიიღოს. თუ უნდა ჩემი გათავისუფლება და კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა, თქვას, თუ არა და დამთავრდეს ამაზე საუბარი, რათა გავაგრძელო მშვიდად მუშაობა“, — განაცხადა ცხადაძემ.

მისივე აზრით, ეროვნულ ნაკრებში ასეთი ერთიანობა არასდროს ყოფილა.

„გუნდი არის ერთიანი. ფსიქოლოგიურად წინ წავედით და გაჩნდა ოპტიმიზმი. ბიჭები ნერვიულობენ, ყოველდღე მეკონტაქტებიან — მათაც აინტერესებთ, რა გადაწყდება.

ამიტომ, ვინაიდან უკვე ახლოვდება შესარჩევი ეტაპი, ყველაფერი დროულად გაირკვეს“, — დასძინა ცხადაძემ.

კახა ცხადაძის პრესკონფერენციას წინ უსწრებდა მისი შეხვედრა სფფ-ის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილთან, სადაც მათ ანაზღაურების ახალ მოდელზე ისაუბრეს. ცნობილია, რომ ფედერაციამ მწვრთნელს შეკვეცილი ხელფასი, ხოლო წარმატების შემთხვევაში ბონუსების სისტემა შესთავაზა. თავის მხრივ, ცხადაძემ წინასწარ გამოთქვა მზადყოფნა ხელფასის 25 პროცენტით შემცირების თაობაზე.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

კალაშნიკოვამ ავსტრალიის ღია პირველობის პირველი წრე დაძლია

თბილისელმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობის წყვილთა ტურნირის ძირითად ბადეში თამაშობს, პირველი გამარჯვება იზეიმა.

შეგახსენებთ, რომ ოქსანა ტაივანელ სუ-ვეი ჰსიესთან გახლავთ შეამხანაგებული და საწყის რაუნდშივე მძიმე ბრძოლა გადაიტანა.

კალაშნიკოვა და ჰსიე იაპონელებს — მისაკი დოის და ნაო ჰიბინოს გაეჯიბრნენ და 2:6, 6:2, 7:6 (7:0) მოიგეს.

1/16-ფინალში ჩვენებური და ტაივანელი ჩოგბურთელები მე-4 ნომრად განთესილ უნგრულ-სლოვაკურ წყვილს (ტიმეა ბაბოში-კატარინა სრებოტნიკი) ეთამაშებიან.

ბადრი იაშვილი

◎ დედაქალაქის ტრანსპორტი

სამი უარი ჩვენს „სამარშრუტო თავსატკივარზე“

უამრავ პრობლემას შორის, რომელიც თბილისის სატრანსპორტო სფეროს წინაშე დგას, უმეტესობის შესახებ სხვადასხვა დროს ლაპარაკი არაერთგზის გვქონია, რა დროსაც საკუთარ მოსაზრებას უაღრესად კომპეტენტური სპეციალისტები გამოთქვამდნენ. ძველი პუბლიკაციების სხვადასხვა ასპექტს და გამოქვეყნების თარიღებს აღარ მოვყვები, მაგრამ ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ამ მხრივ, ცოტა არ იყოს, ერთობ მოულოდნელი პრობლემა წარმოგვიჩინა სატრანსპორტო დარგის გამოცდილმა მუშაკმა, ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადგილობრივი მმართველობის სრულყოფისთვის“ გამგეობის წევრმა ზაურ კაჭარავამ.

დედაქალაქში სატრანსპორტო მოძრაობის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით ბატონ კაჭარავას მთელი რიგი მეტად საგულისხმო მოსაზრება აქვს, რომელთა დეტალურ გარჩევას იმ მარტივი მიზეზით არ შევუდგები, რომ მრავალ მათგანზე საუბარი ადრინდელ პუბლიკაციებში მქონდა. მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტი ამ საკითხს სხვა მხრივ მიუდგა, რის შესახებ ჯერ კიდევ წლების წინ ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლებს ამცნო. მისი საინფორმაციო ხასიათის განცხადებების ადრესატებს შორის არიან საქართველოს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი,** პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი,** ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური,** სხვები.

საქმის არსის თაობაზე მოკლედ შემდეგის თქმა შეიძლება: დედაქალაქში (და არა მარტო აქ!) სამარშრუტო ტაქსებით მგზავრთა გადაზიდვა ერთგვარად თვითდინებაზეა მიშვებული და, როგორც **ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგების, ასევე მგზავრთა ინტერესებისა და დედაქალაქის ბიუჯეტის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლად საჭიროა ამ სფეროში ამჟამად შექმნილი დომხალის სანაცვლოდ კანონის ჩარჩოებში წესრიგის დამყარება.**

კონკრეტულ პრობლემას რამდენიმე ასპექტი აქვს. **ერთი** ეხება 2011 წელს შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ მიერ მგზავრთა გადაზიდვის ტარიფის საკუთარი სურვილისამებრ მომატებას, რაც მის ჯიბეში ყოველწლიურად დაახლოებით 44 მილიონი ლარის მოხვედრას ნიშნავს. მანამდე ფარული ეკონომიკის 40-მილიონიანი ოდენობის გათვალისწინებით, ადვილი დასათვლელია, რომ ლაპარაკი უზარმაზარ სახსრებზეა. **მეორე** ასპექტი, ყველა სიკეთესთან ერთად, სამარშრუტო ტაქსებში მგზავრთა აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობას ეხება. ამის შედეგად, მგზავრთა ნაკადის დაახლოებით 90 პროცენტი აღურიცხავი რჩება, რადგან ხალხი მძღოლს ნაღდ ფულს ხელზე აძლევს, ხოლო ამის სანაცვლოდ არანაირი ფინანსურ საბუთს (ვთქვათ, ბილეთს) არ იღებს. იმის გარდა, რომ ეს ფარული ეკონომიკის უაშკარესი წყაროა, შესაბამისად, ცხადია, ზარალობს ქალაქის ბიუჯეტი. **მესამე** ასპექტი კი ამის გამო საცობების შექმნაა — ვიდრე მძღოლი ფულს ითვლის, შუა გზაში გაჩერებულ მიკროავტობუსს თავზე ვერავინ გადააფრინდება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბატონ ზაურ კაჭარავას შემდეგი წინადადებები აქვს:

1. სამარშრუტო ტაქსებში დამონტაჟდეს ამჟამად საქალაქო ავტობუსებში დადგმულის მსგავსი სალარო აპარატები;

2. გაუქმდეს კანონში ნაციონალების მიერ შეტანილი ცვლილებები სამარშრუტო ტაქსებისთვის ტარიფის დაწესების უფლებამოსილების თაობაზე;

3. საცხოვრებელ მასივებში გაიხსნას უახლოეს მეტროს სადგურებამდე მოკლე მცირეტარიფიანი საავტობუსო მარშრუტები.

იმედია, აქამდე ყველაფერი (მეტნაკლებად მაინც!) გასაგები იყო, მაგრამ ახლა, როცა საქმე აღნიშნული პრობლემების ზემონახსენებ ასპექტებზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხის შინაარსის გადმოცემაზე მიდგა, სიმართლე გითხრათ, დიდი გასაჭირი დამიდგა. **პირველი:** 2015 წლის 15.07 დათარიღებულ ოფიციალურ პასუხს ხელს აწერს (სიტყვასიტყვით!) „თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქ. თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მერაბ მამულაშვილი“. **მეორე:** თავად პასუხი ჩვენში მტკიცედ დამკვიდრებულ „კანცელარიულ ენაზე“ ისეა დაწერილი, რომ მისი შინაარსის ზუსტად და სწროად გადმოცემაზე სრულ პასუხისმგებლობას ვერაფერით ვერ ვიკისრებ, ამიტომაც გარკვეული ამონარიდების სახით შემოგთავაზებთ:

1. „აღნიშნულიდან გამომდინარე M_2 კატეგორიის ავტობუსების (მიკროავტობუსი) გაბილეთიანების სრულ ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის მოთხოვნა, სცილდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას; ამასთან აღვნიშნავთ, რომ შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამ საკითხის დაყენების შემთხვევაში გამოვთქვამთ მზადყოფნას საჭიროებისამებრ მჭიდროდ ვითანამშრომლოთ შესაბამის უწყებასთან“.

2. „ჩვენს შემთხვევაში (M_2 კატეგორიაზე) მომსახურების გაწევა ეკონომიკის რეგულირებადი სფერო არ არის და მიკროავტობუსით მგზავრთა გადაყვანის ტარიფებს აწესებს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მფლობელი კერძო კომპანიები. რაც შეეხება M_2 კატეგორიის (მიკროავტობუსი) მარშრუტების რეგულირებად ტარიფებზე გადაყვანას, აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიწვევს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მფლობელ კერძო კომპანიებზე ბიუჯეტიდან სოლიდური სუბსიდიის გამოყოფას, რაც სამსახურს არასასურველად მიაჩნია“.

3. „რაც შეეხება დასახლებული უბნებიდან უახლოეს მეტროს სადგურამდე ავტობუსის M_3 კატეგორიის მარშრუტების დაწესებას და მგზავრობის ღირებულების 0,1-0,15 ლარამდე დაწევას, გაცნობებთ, რომ დედაქალაქში ამჟამად მოქმედი ავტობუსების მარშრუტები ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს“.

მსგავსი ეპისტოლარული მარგალიტები ბატონ მ. მამულაშვილის მიერ ხელმოწერილ პასუხში კიდევ მრავლადაა, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ყველაფერზე „არას“ თქმის (ყოველ შემთხვევაში რედაქციაში ერთიანი ძალისხმევით მხოლოდ ამის გარკვევა შევძელით) „გვირგვინი“ მაინც ბოლო პასაჟია:

„დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენი სურვილის შემთხვევაში, სამსახური მზადაა, გარკვეული საკითხების განხილვის მიზნით დაგეგმოს თქვენთან შეხვედრა“.

აბა, განა ამის კომენტარი შეიძლება?

ოთარ ტურაბელიძე

◎ დროული წიგნი

საქართველო რუსეთ-ოსმალეთის ომებსა და ზავებში

ორიოდე თვის წინათ თურქების მიერ, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში ჩართული რუსეთის ფედერაციის სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდებამ საკმაოდ დაძაბა ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის. ისლამისტ-ტერორისტებთან ბრძოლის პერიპეტიებმა, ორი დიდი სახელმწიფოს დაპირისპირებაში გადაზრდამ (ერთმანეთის მიმართ მიღებულმა სანქციებმა, პოლიტიკურმა და სამხედრო დაპირისპირებამ), მსოფლიო ლიდერები გამოაფხიზლა და ფორმალურად დაწყებული მესამე მსოფლიო ომი კინაღამ რეალურად დაიწყო.

ამ ვითარებამ საუკუნეების წინანდელი ორი დიდი იმპერიის — ოსმალეთისა და რუსეთის სისხლისმღვრელი ბრძოლები გაგვახსენა. ზოგიერთი პოლიტიკოსის მოსაზრებით ეს დაპირისპირება სავალალო იქნება საქართველოსთვის, ზოგიერთის აზრით კი პირიქით, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, ავისრულოთ ნატვრა და დავიბრუნოთ ის ძირძველი ტერიტორიები, რომლებიც ჩვენმა მეზობელმა დამპყრობელმა და ახლა „სამუდამო ძმობაშეფიცულმა“ თურქეთმა მოგვტაცა.

მეტად დროული და, ვფიქრობ, საჭიროც იყო ისეთი ნაშრომის წიგნად გამოქვეყნება, რომელიც ისტორიკოსების მიუკერძოებელი თვალით გადაგვახედებდა საუკუნეების მიღმა და თვალნათლივ დაგვანახვებდა თუ როგორ პატარავდებოდა „შაგრენის ტყავივით“ ჩვენი მიწა-წყალი სამი უდიდესი დამპრყობლის ურთიერთშორის გამუდმებული ომებისა და საზავო ხელშეკრულებების გამო. ირანი და ოსმალეთი, ეს ორი უძლიერესი დამპყრობი ათეული საუკუნეების მანძილზე იყოფდნენ ჩვენს ტერიტორიას, ებრძოდნენ ერთმანეთს და ჩვენს მიწას ისე ჭრიდნენ და ინაწილებდნენ, განმკითხავი, არსაიდან ჩანდა. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო არენაზე გაძლიერებული რუსეთის იმპერია გამოჩნდა და ამ ორ ვეშაპს დაუპირისპირდა. „ალია და ოსმანა ორივე თათარიაო“, უთქვამს ჩვენს წინაპარს და იმედის თვალით შეხვდა ახალი იმპერიის აღზევებას, რომელმაც მართალია უამრავი ბრძოლისა და საზავო ხელშეკრულებებით შესძლო ოსმალეთისა და ირანისთვის წაერთმია მიტაცებული ქართული ტერიტორიები და ერთმორწმუნეობის მანტიამოსხმულს მთლიან საქართველოსთან ერთად თავისად გაეხადა. სულ ახლახანს გამომცემლობა **„ქართულმა უნივერსიტეტმა“** გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ვახტანგ გურულის** და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ **ლევან ჯიქიას** თანაავტორობითა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **სერგო ვარდოსანიძის** რედაქტორობით, წიგნი **„საქართველოს ისტორიული ტერიტორია რუსეთ-ოსმალეთის (თურქეთის) ომებსა და ზავებში (1695-1953)“.**

წიგნიდან შევიტყობთ, რომ 1555 წლიდან (ამასიის ზავი) 1639 წლამდე (ზოჰაბის ზავი) ოსმალეთმა და ირანმა ექვსჯერ გაიყვეს საქართველოს ტერიტორია. XVII საუკუნის მიწურულიდან სამხრეთ კავკასიაზე უკვე რუსეთის იმპერიაც აცხადებს პრეტენზიებს. ათჯერ (რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის ზავიდან 1700 წ. და 1791 წ. დადებული რუსეთ-ოსმალეთის იასის ზავამდე) რუსეთმა, ოსმალეთმა და ირანმა გადაინაწილეს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ტერიტორიები. ამ სამ ქვეყანას შორის XIX საუუნეში სულ ცხრაჯერ დაიდო ზავი და ეს შეთანხმებები საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებსაც შეეხო.

1918 წელს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ახლა უკვე სამხრეთ კავკასიის საქმეებში აქტიურად ერევიან დასავლეთის სახელმწიფოებიც. ჩვენს ისტორიულ ტერიტორიებს შეეხო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი 1918 წელს და 1918 წლის 4 ივნისს საქართველოსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავი.

ამ წიგნის კითხვისას ნათლად ჩანს თუ რა ყოფაში იყო ჩვენი ქვეყანა ვითომდა მშვიდობის მომტანი ზავების შემდეგ. უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა წაგებული გამოდიოდა. იყო პერიოდი, ვიბრუნებდით ჩვენს მიწა-წყალს, მაგრამ ფიზიკურად სხვა ქვეყანათა განმგებლობის ქვეშ ვრჩებოდით.

წიგნის ავტორებმა უამრავ საარქივო მასალას მოუყარეს თავი და ნათელი სურათი დაგვიხატეს იმისა, რომ დასავლეთ ევროპის მოწინავე სახელმწიფოები არასოდეს დაინტერესებულან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, ისინი ყოველთვის თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებისა და სხვა ქვეყნების თვალში დივიდენდების ჩაწერის მოტივით ხელს უწყობდნენ ჩვენი ქვეყნის დაქუცმაცებას.

ერთადერთი ნათელი წერტილი მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში გამოჩნდა, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირმა მოკავშირეებთან ერთად დაამარცხა ფაშისტური გერმანია და იოსებ სტალინმა დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი. მართალია 1945 წლის ივლის-აგვისტოს პოტსდამის კონფერენციამ თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები არ დააკმაყოფილა, მაგრამ სტალინი უკან არ იხევდა. ამის დასტურია 1946 წლის 28 სექტემბერს ამერიკელი ისტორიკოსის ედუარდ მარკის მტკიცება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და ამის შემდეგ უკვე ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულად იწყებს მზადებას საბჭოეთის წინააღმდეგ ატომური ომისათვის, რომელიც მიზნად მისი მოკავშირე თურქეთის დაცვას ითვალისწინებს.

დიახ, სტალინის მიერ ამ ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, რომელსაც ჩვენი ძირძველი ტერიტორიების დაბრუნება ჰქვია, ევროპის ქვეყნების გარდა თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც აღუდგა წინ.

დანარჩენს, თუ როგორ განვითარდა მოვლენები, რა პოლიტიკური და სამართლებრივი გზები არსებობდა მიტაცებული ტერიტორიის დასაბრუნებლად ამას წიგნიდან შეიტყობს დაინტერესებული მკითხველი. ჩენთვის კი დღევანდელი მდგომარეობაა ყველაზე საინტერესო — რას მოგვიტანს რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება და რა ელის ჩვენს მეზობელ ქვეყანას ისლამურ, რუსულ და შიდა მტრებთან ბრძოლაში, რომლებმაც შეიძლება ჩვენთვის ან სასიკეთო, ანდაც უარესი მდგომარეობა მოგვიტანოს. ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ. ეს წიგნი კი ნათლად გვიჩვენებს, თუ ვისი იმედი უნდა გვქონდეს ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან.

მამუკა ვაშაკიძე

◎ ინფორმაცია

ისინი ქართულ კულტურას გადაარჩენენ

კულტურის პალატის პრეზიდენტის დავით ოქიტაშვილის ინიციატივით, საქართველოში პირველად ღვაწლმოსილ ქართველ ხელოვანთა ფორუმი ჩატარდება.

ფორუმს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები ღვაწლმოსილი ხელოვანები დაესწრებიან.

„კულტურის პალატა გამოდის ინიციატივით და გეგმავს ქართველ ხელოვანთა პირველი ფორუმის ჩატარებას. ფორუმის მიზანია ამ ხელოვანი ადამიანების შეკრება, რომ მათ მივცეთ შესაძლებლობები, დასხდნენ და ერთად იმსჯელონ დარგში არსებულ პრობლემებზე, ისაუბრონ და განიხილონ ის საკითხები, რომელიც კულტურის, ხელოვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია და ერთად ვეძებოთ ამ პრობლემიდან გამოსავალი“, — აცხადებს კულტურის პალატის პრეზიდენტი.

დავით ოქიტაშვილის განცხადებით, პალატამ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაიწყო და აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანებთან.

„ჩვენ გვინდა, რომ მათგან მივიღოთ რჩევები, დავალებები, მოგვცენ მიმართულება თუ როგორ და რა კუთხით უნდა გაკეთდეს. ადამიანებმა, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ ხელოვნებაში არ შეიძლება ჩრდილში დავტოვოთ. აუცილებელია ამ ადამიანების დაფასება და ყურადღება. ჩვენ ერთმანეთზე ზრუნვა და ურთიერთთანადგომა გვჭირდება. აი, რას მოაქვს ნამდვილი ბედნიერების შეგრძნება“, — განაცხადა დავით ოქიტაშვილმა.

ჩარლზ დაჰიგი: როგორ დავნეროგოთ კარგი ჩვევები?

რამდენიმე ფაქტი ჩარლზ დაჰიგის წიგნიდან „ჩვევის ძალა“ – იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მართოთ თქვენი ჩვევები.

1. როგორ ხდება ჩვევების ფორმირება

ყოველ ჯერზე, როცა რაიმე ახალს ვაკეთებთ, ტვინი ამუშავებს ინფორმაციის დიდ რაოდენობას. ის იმახსოვრებს ქცევის, შეგრძნების და რეაქციების ახალ შაბლონებს. დროთა განმავლობაში, როცა ჩვენ დავალების არსს ვგებულობთ, ჩვენი ქცევა ხდება ავტომატური, ხოლო გონებრივი სამუშაოს რაოდენობა რამდენჯერმე იკლებს.

გაიხსენეთ ის მომენტი, როცა ველოსიპედის მართვას პირველად სწავლობდით. იმ ფიზიკური და გონებრივი დაძაბულობის დავიწყება წარმოუდგენელია. თუმცა, ახლა, თქვენ უკვე შეგიძლიათ, დაჯდეთ ველოსიპედზე სიამოვნების გამო და ათეულობით კილომეტრი გაიაროთ, თან არაფერი იფიქროთ იმაზე, როგორ აკეთებთ ამას.

დაჰიგი ამბობს:

ჩვენ ამ პროცესს დამახსოვრებას ვეძახით. ამ დროს წარმოიქმნება მეხსიერების ახალი ადგილები, რომლებიც პასუხისმგებელია რუტინული ქმედებების, რჩევების ავტომატიზაციაზე. ყოველდღიურად ჩვენ ვეყრდნობით მას ათეულ და ასეულ ჯერზე.

2. როგორ მუშაობს ჩვევების ციკლი

ყოველი ჩვევა შედგება მარტივი, მაგრამ საკმაოდ მძლავრი ციკლისგან.

ჯერ წარმოიქმნება სიგნალი, რომელიც ტვინს ეუბნება, რომ საჭიროა, გადავიდეს „ავტომატურ რეჟიმში“ და გამოიყენოს გარკვეული ჩვევა. შემდეგ საქმეში ერთვება მოქმედების პროგრამა. ის შედგება აზრობრივი და ფიზიკური ქმედებებისგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამოცანის შესრულებაზე. და ბოლოს, ჯილდო – რომელიც ტვინს საშუალებას აძლევს გაიგოს, ღირს თუ არა ჩვევა იმად, რომ ის დაიმახსოვროს.

დროთა განმავლობაში ციკლი ბოლომდე იშიფრება. სიგნალი და ჯილდო ერწყმის ერთმანეთს, ხდებიან განუწყვეტელი ჯაჭვი იმისათვის, რომ ადამიანი ამ ჩვევას მიჰყვეს.

3. როგორ შევცვალოთ ცუდი ჩვევა კარგით

პირველი და უმთავრესი წესი – თამაში წესების მიხედვით. ციკლიდან „სიგნალი – სამოქმედო პროგრამა – ჯილდო“ თავის დაღწევა შეუძლებელია. ამიტომ, თუ თქვენ გსურთ ცუდი ჩვევისგან განთავისუფლდეთ, უნდა გაიგოთ, როგორ შეძლებთ სიგნალის ისე შეცვლას, რომ მას ისევ იგივე ჯილდომდე მიჰყავდეთ.

მაგალითად, პარასკევობით თქვენ დადიხართ მეგობრებთან ერთად ღამის კლუბში. ბევრს სვამთ და დილით თავს ცუდად გრძნობთ. მიუხედავად ამისა, ყოველ კვირას ერთი და იგივე ხდება. რატომ?ამ ჩვევის შემთხვევაში თქვენზე მოქმედებს ჯილდოს სამი ტიპი:

– სოციალიზაცია და მეგობრებთან დროის ტარება.

– ახალი ადამიანების გაცნობის შესაძლებლობა.

– ალკოჰოლის მომადუნებელი ეფექტი.

ამ მავნე ჩვევის სასარგებლო ჩვევით შესაცვლელად, საჭიროა ჯილდოების შენარჩუნება.

ალტერნატიული ვარიანტია – დაარწმუნოთ მეგობრები, რომ ველოსიპედით იაროთ. ასე თქვენ ძველებურად სამეგობროში გაატარებთ დროს, გაიცნობთ ახალ ადამიანებს, მოინახულებთ ახალ ადგილებს და მოდუნდებით ფიზიკური აქტივობის გამო.

ცუდი ჩვევების მოსაცილებლად და მათი სასარგებლო ჩვევებით ჩასანაცვლებლად თქვენ ჯილდო უცვლელი უნდა დატოვოთ.

4. როგორ დავნერგოთ კარგი ჩვევა

ციკლი „სიგნალი – სამოქმედო პროგრამა – ჯილდო“ ამ სიტუაციაშიც მუშაობს. დავუშვათ, თქვენ საღამოობით სირბილის დაწყება გსურთ, მაგრამ საკუთარი თავი ვერ აიძულეთ ეს გაგეკეთებინათ. ამისათვის თქვენ უნდა მოიფიქროთ ჯილდო, რომელიც მოახდენს ტვინის მოტივირებას, მიყვეს ამ ჩვევას. მაგალითად, ყოველი ვარჯიშის შემდეგ რაიმე სასიამოვნოს კეთება.

დღევანდელ პირობებში რთულია ცდუნებას გაუძლოს ადამიანმა, მაგრამ თქვენ უნდა სძლიოთ საკუთარ თავს იქამდე, რომ სიგნალი და ჯილდო უწყვეტ ჯაჭვად იქცეს. დროთა განმავლობაში ტვინი ვერ იფიქრებს ჯილდოზე სიგნალის ჩართვამდე და ამის შემდეგ თქვენ თამამად შეძლებთ თქვათ, რომ სირბილი თქვენი ჩვევა გახდა.

b2p.ge

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– უკეთესი რა გითხრათ, მიმაჩნია, რომ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემა უკვე არა გაქვთ, – ეუბნება ექიმი პაციენტს.

ისიც მადლობის თქმით გადის კაბინეტიდან. ორიოდ წამში კი დერეფანში ბრახვანის ხმა გაისმა.

ექიმი კაბინეტიდან გამოვარდა – პაციენტი მკვდარია.

– ექთანო! – ყვირის ექიმი, – სასწრაფოდ ჩასჭიდეთ ხელი ფეხებში.

– რისთვის?

– იმისთვის, რომ იგი ისე შემოვატრიალოთ, თითქოს კაბინეტში შემოსვლას აპირებდა, კი არ გადიოდა.

* * *

ტაქსისტი გიჟივით მიაქროლებს მანქანას.

– არ შეგიძლიათ, ცოტათი მაინც ფრთხილად იაროთ? – დაიცავით უსაფრთხოების წესები. შინ რვა შვილი მელოდება! – ეუბნება მგზავრი ქალი.

– და თქვენ მომიწოდებთ უსაფრთხოების წესების დაცვისკენ? – იქედნურად ეღიმება ტაქსისტს.

* * *

რით განსხვავდება მამაკაცური ლოგიკა ქალურისგან?

მამაკაცური ლოგიკა უფრო სწორია, ქალური კი – უფრო საინტერესო.

* * *

– ძვირფასო, რა გაჩუქო ხვალ დაბადების დღისთვის? – ეკითხება ქმარი ცოლს.

– არაფერი არ მინდა. ოღონდ არ დათვრე და ეს იქნება ყველაზე კარგი საჩუქარი ჩემთვის.

– ეს ხომ გუშინ გაჩუქე. რა საჭიროა გამეორება?

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!